საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 22 თებერვალი. 2017 წ. №41 (8178), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ტელესიამე თუ... ტელეტანჯვა?!

- თბილისის საკრებულოში „რუსთავი-2“-ის ოპერატიული ფილიალია
- ის, რაც ახლა ხდება სატელევიზიო სივრცეში ყოვლად მიუღებელი, სახიფათო, ამაზრზენია!
- უმეცარმა პოლიტიკოსებმა „პრავდა-2“-ში მოიყარეს თავი...
- გათავხედებული „რუსთავი-2“ და... რატომ მეშინია საზმაუს რეფორმების?!

3

სილამაზის წინაშე ყველა და ყველაფერი უძლურია

6



5

ზაზა სინაურიძე:

როგორ შევამცირებთ დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობას?

საქართველოში კარგ ხმებს რა გამოლევს...

7

ილია II: ყოველ მოვლენას თავისი სახელი უნდა დაერქვას!

ყოველ მოვლენას თავისი სახელი **უნდა დაერქვას, რათა ხალხი დაკმაყოფილდეს და დამშვიდდეს“,** — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომელსაც პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და სინოდის წევრები ესწრებოდნენ.

პატრიარქის თქმით, გასული კვირა ძალიან რთული იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით და მოუწია სამკურნალოდ გერმანიაში წასვლა, რა დროსაც შეიქმნა **„რაღაც უცნაური სიტუაცია, რომელიც საქართველოს ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს“.**

„საქართველოს ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს ასეთი შემთხვევა. ეს არის არამარტო ეკლესიის პრობლემა, არამედ ერის პრობლემა და სახელმწიფოს პრობლემა, ამიტომ ჩვენი ხელისუფლება აქტიურად უნდა ჩაერთოს ამაში და, ვფიქრობ, რომ თქვენ გრძნობთ ამის მნიშვნელობას. უკვე მოდის გამოძახილი უცხოეთიდან, კითხულობენ, რა ხდება საქართველოში, ხოლო ჩვენ არა გვაქვს გარკვეული პოზიცია, გარკვეული გამოძიება. ამიტომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ, ერთობლივი გამოძიება უნდა შედგეს სახელმწიფოსა და ეკლესიისა. ხალხს უნდა მივცეთ პასუხი, ხალხი ღელავს. ვფიქრობ, რომ ყველაფერი დამშვიდდება და კარგად იქნება, მაგრამ ყოველ მოვლენას თავისი სახელი უნდა დაერქვას, რათა ხალხი დაკმაყოფილდეს და დამშვიდდეს“, — განაცხადა პატრიარქმა.

ზურაბ აბაშიძე:

ჩვენ იმდენი დავთმეთ 2008 წლის შემდეგ, რომ დასათმობი აღარაფერი დარჩა!



საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. აბაშიძის თქმით, საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთისა და საქართველოს პოზიციები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დაიწყო ომი 2008 წელს, რადიკალურად განსხვავებულია.

„რაც შეეხება 2008 წლის თემას, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს პოზიციებში არის რადიკალური სხვაობა. კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დაიწყო ომი. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ცნობილია, რომ ეს იყო აგრესია, რასაც მოჰყვა ოკუპაცია, თუმცა ისიც ცნობილია, რომ არც ჩვენმა ხელისუფლებამ არ დააკლო თავის პოლიტიკით არაფერი, იმისათვის, რომ მომხდარიყო ეს კატასტროფა — ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფა უახლეს ისტორიაში. ჩვენ იმდენი დავთმეთ 2008 წლის შემდეგ, რომ დასათმობი არაფერი დარჩა“, — განაცხადა აბაშიძემ.

ნიკა ბასილაშვილმა თამასა ასწია

10

მიუნხენში ვიზიტი ძალიან წარმატებული გამოდგა

დინამიკა, რომელიც ჩვენ გვაქვს აშშ-თან ურთიერთობაში, ძალიან პოზიტიურია, — განაცხადა გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსთან შეხვედრის შეფასებისას.

პრემიერის თქმით, შეხვედრისას აღინიშნა, რომ საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობა არა მხოლოდ გაგრძელდება, არამედ გაღრმავდება და სრულიად სხვა საფეხურზე გადავა, რაც მისასალმებელია.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტთან მის შეხვედრას წინ უძღოდა ძალიან წარმატებული ვიზიტები, საგარეო და თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელთა შეხვედრები, ასევე — საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ვიცე-სპიკერ თამარ ჩუგოშვილის ხელმძღვანელობით.

საქართველოს მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, უმნიშვნელოვანესი შეხვედრა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტთან და რამდენიმე ქვეყნის პირველ პირთან მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გაიმართა, რომელზე ვიზიტს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა „ძალიან წარმატებული“ უწოდა.

„შეხვედრა გვქონდა ესტონეთის პრეზიდენტთან. ჩვენ ძალიან საინტერესო ერთობლივ პროექტებს ვახორციელებთ ელექტრონული მმართველობის მიმართულებით, ასევე, ჩვენი საგადასახადო რეფორმა ესტონეთის მაგალითს ეფუძნება. განვიხილეთ ორმხრივი ურთიერთობები. ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა ავღანეთის პრეზიდენტთან და უნდა ვთქვა, რომ სრულიად სხვა სახის შესაძლებლობები იხსნება ავღანეთთან ურთიერთობაში, ტრანსპორტის, ლოგისტიკისა და ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით. ასევე, გვქონდა საუბარი ქართული კომპანიებისთვის ავღანეთის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შესაძლებლობაზე, რაზეც პრეზიდენტის მხრიდან გამოითქვა სრული მზაობა, რომ ისინი დიდი სიამოვნებით განიხილავენ ასეთ წინადადებებს“.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან ფედერიკა მოგერინისთან, რომელმაც ვიზის ლიბერალიზაციის მიმართულებით საქართველოს დახმარების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნული წვლილი შეიტანა. შეხვედრისას საუბარი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მომავალ სამოქმედო გეგმასაც შეეხო.

„სხვა მნიშვნელოვან შეხვედრებს აღარ ჩამოვთვლი. ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც შეგვიძლია, მიუნხენის უსაფრთხოების ორდღიანი კონფერენციიდან გამოვიტანოთ, გახლავთ ის, რომ ყველაზე ნათლად გამოჩნდა, რამხელა რაციონალი და ლოგიკა დგას ძლიერი ევროკავშირის უკან, ანუ უსაფრთხოების, პოლიტიკური, ეკონომიკური მიმართულებებით, დღევანდელი გამოწვევების პირობებში, რამდენად მნიშვნელოვანია ძლიერი ევროკავშირის არსებობა. არაერთი დისკუსიისას, ძალიან ბევრმა ლიდერმა გაუსვა ამას ხაზი და კიდევ ერთხელ გამოჩნდა ის სინერგია, რომელიც არსებობს ევროკავშირის ქვეყნებს შორის — ერთიანი ბაზრის ძალა და უსაფრთხოების კუთხით ძლიერი ევროკავშირის მნიშვნელობა. ჩვენ გვქონდა საშუალება, საპანელო დისკუსიების დროს გვესაუბრა საქართველოს სტრატეგიაზე, ასევე იმ გამოწვევებზე, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია; იმ პოზიტიურ ტენდენციებზე, რომელიც ქვეყანაში უდავოდ არის და ასევე, ოკუპაციის პრობლემებზე და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის მნიშვნელობაზე ამ პრობლემების გადაჭრის პროცესში“.

ბუნებრივი აირის 200-ლარიან ვაუჩერს მიიღებენ

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მცხოვრები მოსახლეობა ბუნებრივი აირის 200-ლარიან ვაუჩერს მიიღებს.

როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილება სწორედ მთავრობის სხდომაზე მიიღეს.

„ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობს უწყებათაშორისი დროებითი კომისიის წინა წლის ნოემბრის დადგენილებიდან. ჩვენ წლების განმავლობაში გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ, ფაქტობრივად, ყველა ოჯახს ვეხმარებით გამოსაზამთრებელი ღონისძიებებით, მათ შორის, 200-ლარიანი ვაუჩერით. ამჯერად, აღრიცხული ოჯახების რაოდენობა შეადგენს 11 894-ს. წინა წლის ბოლოს თითქმის ყველა სოფლის გაზიფიცირება დასრულდა. არის რამდენიმე გამონაკლისი 728 ოჯახი, რომელთაც ბუნებრივი აირის საფასურის ნაცვლად მიეცემათ ხელზე 200-ლარიანი ვაუჩერი“, — განაცხადა ციხელაშვილმა.

შორენა თეთრუაშვილის თქმით, ის არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენეს, რათა დაერტყათ პატრიარქისთვის და საპატრიარქოსთვის!

პატრიარქს არა აქვს სრული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა პროცესები ვითარდება, — განუცხადა ჟურნალისტებს უფლებამადამცველმა ნანა კაკაბაძემ და პატრიარქის მდივან-რეფერენტთან შორენა თეთრუაშვილთან შეხვედრის შესახებ მედიის წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდა.

„პატრიარქს არა აქვს სრული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა პროცესები ვითარდება. ალბათ ამას გადაწყვეტენ მეუფეები და საპატრიარქო, რა დოზით უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესებშია და, რა თქმა უნდა, საპატრიარქოს ინტერესებშიც, რომ მას უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია.

კი, შევხვდი შორენას. თქვა, რომ, რა თქმა უნდა, მე ვარ ინსტრუმენტი, რომელიც იყო გამოყენებული საიმისოდ, რომ დაერტყათ პატრიარქისთვის და დაერტყათ საპატრიარქოსთვისო. თქვა, რომ დანარჩენი ადამიანებიც არიან ინსტრუმენტები და აქ მიზანი და გათვლა არ იყო არც შორენაზე, არც სხვაზე, აქ იყო გათვლა უფრო მაღლა და უფრო ზემოთ“, — განუცხადა ჟურნალისტებს ნანა კაკაბაძემ.

წმინდა სინოდის წევრები და სასულიერო პირები ბრიუსელს ეწვევიან

ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრები სამუშაო ვიზიტის ფარგლებში 21-25 თებერვალს შეხვდებიან ევროკავშირის ინსტიტუციებისა (EEAS, DG near, DG Regio, DG Agri) და ნატოს წარმომადგენლებს.

აღნიშნული სამუშაო შეხვედრების ციკლი პროექტის „საქართველო-ევროკავშირის“ ფარგლებში ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ 7-11 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში ზემოხსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა. პროექტი განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) ორგანიზებით საქართველოში დიდი ბრიტანეთის სამეფოს საელჩო ფინანსური მხარდამჭერით ხორციელდება.

განათლების მინისტრი მესამე ვიცე-პრემიერად დაინიშნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა მესამე ვიცე-პრემიერად დანიშნა.

განცხადება პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა, რომელიც ამ წუთებში მიმდინარეობს. პრემიე-მინისტრის თქმით, განათლების მინისტრი კოორდინაციას საზოგადოებასთან ურთიერთობას და ახალგაზრდობის პოლიტიკას გაუწევს.

2016 წელს იძულებით აუქციონზე უძრავი ქონება 2 418 ოჯახს გაუყიდეს

2016 წელს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იძულებით აუქციონზე გასხვისებული უძრავი ქონების რაოდენობა 2015 წელთან შედარებით 26,7%-ით, ხოლოდ 2014 წელთან შედარებით 40,4%-ით გაიზარდა. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „კომერსანტისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით შარშან იძულებით აუქციონზე 2 418 უძრავი ქონება გასხვისდა.

ბოლო წლებში კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა თუ კერძო იპოთეკარების მიერ დასაკუთრებული უძრავი ქონების რაოდენობამ რამდენიმე ათასს გადააჭარბა. 2014-16 წლებში იძულებითი აუქციონზე უძრავი ქონება 6 047-მა ოჯახმა დაკარგა და კიდევ ბევრს საფრთხე ჯერაც ემუქრება. უფრო მეტია იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც ვალის გამო სხვადასხვა ტიპის ქონების იძულებით გასხვისება თავადვე მოუწია. რაც შეეხება წინა წლებს, როგორც ადრე ვწერდით, 2013-ში კი ქონება 1 946 ადამიანმა დაკარგა, 2012-ში — 1 953-მა, 2011 წელს კი — 1 850 ოჯახს ჩამოერთვა უძრავი ქონება იძულებით აუქციონის წესით. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ 2011-16 წლებში იძულებითი აუქციონის წესით სულ რეალიზებული იქნა 11 796 ერთეული უძრავი ქონება.

საერთოდ, უძრავი ქონების იძულებითი წესით გასხვისების პიკი იყო 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ძალიან ბევრი პრობლემური ვალდებულება წარმოიშვა. შემდეგ უკვე წამოვიდა კლებისკენ. თუმცა მერე კვლავ ზრდა დაიწყო და როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2016 წელს იძულებით გასხვისებული უძრავი ქონების რაოდენობამ ბოლო წლების რეკორდიც მოხსნა.

ივანიშვილის „დენდროლოგიურ“ პარკში 20-ძდე ხეს ამჯერად ნატანებიდან გადარგავენ

სოფელ ნატანებიდან შეკვეთილში ივანიშვილის „დენდროლოგიურ“ პარკში კიდევ 20-მდე ხეს გადარგავენ. ადგილობრივების ინფორმაციით, ხეების გადასატანად მზადება უკვე დაწყებულია. მათივე ინფორმაციით, რამდენიმე კილომეტრიან მონაკვეთზე, ქარსაცავი ზოლის ხეების ტოტების მოჭრა მიმდინარეობს.

საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია ისევ ეროვნულ ბანკს დაუბრუნდება

მთავრობის სხდომაზე ჩვენ წარვადგინეთ ჯამში 17 კანონისგან შემდგარი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ეროვნულ ბანკში დაბრუნებას, — ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.

ამევე დროს მინდა განვაცხადო, რომ ვართ ძალიან აქტიურ პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებებში, რომელთათვისაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენაა აღნიშნული გადაწყვეტილება“.

◎ ნაციონალებს ნუ ეხუმრებით!

თბილისის საკრებულოში „რუსთავი-2“-ის ოპერატიული ფილიალია

აქაოდა, ყურებზე ხახვიც ვერ დაგვაჭრესო, აქაოდა, ბუზიც ვერ აგვიფრინესო, აქაოდა, ჩვენ კი ვერ შეგვაშინეს, პირიქით, ჩვენ იქით შევაშინეთო, აქაოდა, ისევ ყველგან ჩვენი სიტყვა ქუხსო, პარლამენტშიც და საკრებულოშიცო, გამარჯვების ხმაზე აყიჟინებული ნაციონალები მთელი სამი ფრონტით უტევენ ევროპის გამაოცებელი დემოკრატიის მშენებლობით გაბრუებულ მეოცნებეებს. სამ ფრონტს რომ ვამბობთ, ორს პარლამენტში – „ევროპულ საქართველოს“ და დანარჩენ ნაციონალთ ვგულისხმობთ, ხოლო მესამე ფრონტი საკრებულოშია გახსნილი, რომელსაც მიტმასნილია დამოუკიდებელი დეპუტატი, გაურკვეველი პოლიტიკური ნაჯვარი, ვითომ სიმართლისთვის ტყუილებითა და ათასგვარი ცილისწამებით მებრძოლი ალეკო ელისაანთ ბიჭი, ნარმანიასავით სოფლიდან ხიხოობაგამოყოლილი კი არა, ნამდვილი ქალაქელი, ახალ ყაიდაზე გაკინტოებული.

მართალია, საკრებულოელ ნაციონალთ უცხოდ ენაგაკრეფილი აბესაძე აღარა ჰყავთ, ირაკლი, დიახაც ამ ენაგაკრეფილობის გამო პარლამენტის უმცირესობაშია დაწინაურებული, მაგრამ უიმისობა აქ ბევრად არ იგრძნობა, რადგან ნაციონალური იდეების სადარაჯოზე ფხიზლად დგანან ტანმორჩილი, მაგრამ დიდგულა ახვლედიანი, აგრეთვე ვეკუა, გრიგალაშვილი, ნადირაძე, კიდევ ვიღაც-ვიღაცები, ეს ქუდოსანთაგან, ხოლო მანდილოსანთაგან, მართალია, თოფები და ხმლები არ უჭირავთ, მაგრამ მტერს იმათი ნაენარი შხამი! განსაკუთრებით მაინც ვინმე ცინცაბაძეს გამოვარჩევდი, რომელსაც მხარს უმშვენებს რესპუბლიკელი იმნაძის ქალი... და ბოლო ხანს საიდანღაც გამომტყვრალი მავანი დათუკიშვილი, რომელიც სულ არ ტოვებს პოლიტიკოსისა თუ დეპუტატის შთაბეჭდილებას და ერთი წინსაფარიღა აკლია, რომ მზარეული ქალბატონი დაგიდგეს თვალწინ.

გადართავ თუ არა „რუსთავი-2“-ზე, რამდენიმე მთავარი ანტისახელისუფლებო სიუჟეტის შემდეგ ეს საკრებულოელი ყელში ოცნებაგაჩხერილები ერთმანეთის მიყოლებით ჩაბჟირებულნი იწყებენ ერთსა და იმავეს, ანუ ჯერ კარგა გვარიანად გალანძღულ ნარმანიას, ალბათ, უკვე მეათასჯერ იბარებენ საკრებულოში როგორც ყოვლად უვარგის მერს (სად ქალაქმცოდნე უგულავა და სად ეს სოფელმცოდნე ნარმანიაო!), მერე უკვე მოაყოლებენ იმ მიზანმიმართულ ჭორს, თუ როგორ ისარგებლა ნარმანიამ თბილისში დატრიალებული ცნობილი სტიქიით და როგორ გადაურიცხა მილიონი ლარი ქრთამი „რუსთავი-2“-ის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ნაზღაიძის ძმას...

და ეს მეორდება თითქმის ბოლო ერთი თვის მანძილზე. განსაკუთრებით ჩაბღაუჭებულია ამ მყოვარმოქმედების ნაღმ-ჭორს ზემოთ უკვე ხსენებული დათუკიშვილის ქალი, რომელსაც, ჩანს, სხვა მოვალეობა არა აქვს რა საკრებულოში, გარდა ჭორების შეგროვებისა და მერე მშობლიური „რუსთავი-2“-ის ახლა უკვე შავი ეკრანიდან საქვეყნოდ გახმიანებისა.

საერთოდ არა მარტო მე, ერთ-ერთ ჟურნალისტს, არამედ ძალიან ბევრ თბილისელს ნამდვილად აეჭვებს ამ მეჭორე საკრებულოელთა საძმიანობა. ეს ვაჟბატონები და ძალბატონები, როგორც ცნობილია, საკმაოდ მსუყე ანაზღაურებას იღებენ იმ სადეპუტატო სკამებზე სხდომისთვის, რომლებზეც წლობით სხედან და მარტო მერიის ლანძღვა-გინებით და კანონიერი მფლობელისთვის წართმეული ანტიკრიტიკული ცილისწამებით დაკავებული „რუსთავი-2“-ის დაცვას არიან გადაყოლილი.

არადა, ნუთუ კიდევ დიდხანს მოითმენენ თბილისელები ასეთ საკრებულოს, რომლის უმეტესი ნაციონალური ნაწილი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით წყლის ნაყვას უნდება, ისიც საჭორაოდ და საინტრიგანოდ ალესილი გესლიანი ენით.

არა, შენ ნამდვილად უკეთესი საკრებულოს ღირსი ხარ, ჩემო საყვარელო, ბებერო, მაგრამ მარად ახალგაზრდა თბილისო!

გურამ წიკლაური

ის, რაც ახლა ხდება სატელევიზიო სივრცეში ყოვლად მიუღებელი, სახიფათო, ამაზრზენია!

ტელეპროგრამები ადამიანებისთვის კეთდება და მას ადამიანები ქმნიან.

არ ვარ მე „რუსთავი-2“-ის და ე.წ. საზმაუს, ისევე, როგორც ზოგადად დღევანდელი ქართული ტელეარხების მუდმივი მაყურებელი.

მაგრამ ის, რაც ახლა ხდება სატელევიზიო სივრცეში, ყოვლად მიუღებელი, სახიფათო, ამაზრზენია!

მეტი სიბრძნე გვმართებს ყველას: მმართველებს, ჟურნალისტურ, შემოქმედებით თუ საინჟინრო-ტექნიკურ კორპუსსაც და მთელ საზოგადოებას.



რატომღაც მგონია, რომ უმართავი პროცესები გვიახლოვდება. რამეთუ, ორივე მხრიდან ემოციურმა მუხტმა, ლანძღვა-გინებამ აპოთეოზს მიაღწია. ორივე მხარე იჭრის უკან დასახევ, ანუ დიალოგისა და მოლაპარაკების გზას.

არ დამთავრდება ეს ასე მარტივად და იოლად.

ყველამ უნდა გაითავისოს თავისი წილი პასუხისმგებლობა შექმნილ ვითარებაზე!

ნებისმიერი სატელევიზიო ეთერის გათიშვა, ისევე, როგორც 1 ან 2 წლით „გადაცემების დახურვა“, უფრო ტელემაყურებლის დასჯაა, ვიდრე ხელისუფლების მიმართ „პროტესტის“ გამოხატვის თუ ფინანსურ-სისტემური „კრიზისიდან გამოსვლის“ გზა...აქსიომაა: ტელეპროგრამები ადამიანებისთვის კეთდება და მას ადამიანები ქმნიან. ორივე შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილებები, უწინარესად, ადამიანების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად აღიქმება.

ეგებ ვიფიქროთ სხვა გზის გამონახვაზე.

სოლიდარობა „დაჩაგრულ“ თუ „დასაჩაგრავად“ განწირულ ტელეჟურნალისტებს, შემოქმედებით და ტექნიკურ პერსონალს.

ვიმეორებ: სხვა გზებიც არსებობს, ხელის გადაგრეხისა და რადიკალიზმის გარეშე.

მოწოდება ყველა დაპირისპირებულ მხარეს და საზოგადოებას ეხება.

ნუგზარ ფოფხაძე



უმეცარმა პოლიტიკოსებმა „პრავდა-2“-ში მოიყარეს თავი...

გვარამია არის კრიმინალი, რომელიც ქრთამით, ძალადობით ცდილობს დათრგუნოს ქართული მართლმსაჯულება და ეს გამოსდის, რადგან მას მხარს უჭერს ე. წ. თავისუფალი პრესა. ის, რაც ხდება, არის აღვირახსნილი ზეწოლა, კრიმინალის ზეიმი ქვეყანაში, რომლის განხორციელებას ნაციონალური მოძრაობის ორივე ფრთა ცდილობს, ასევე ჩართულები არიან ე. წ. ჟურნალისტები და პოლიტიკოსები, უმეცრები, რომლებმაც ვერსად ვერაფერს ვერ მიაღწიეს და ყველამ „პრავდა 2“-ში მოიყარეს თავი.

ქიბარ ხალვაში თავის ქონებას ითხოვს. ძალიან კარგად ვიცით, რომ მოჰპარეს, წაართვეს და დღეს ქონებას ფლობს პირადად მიხეილ სააკაშვილი. ეს იციან ამ ფარისევლებმაც, რომლებიც „პრავდა 2“- ეთერში სხედან, ეს იციან ეკლესიაში მოკალათებულმა ე. წ. იერარქებმაც, მაგრამ ერთი დავალება აქვთ და ერთ ამოცანას ასრულებენ.

გოგა ხაინდრავა.
(ნაწყვეტი სატელევიზიო ინტერვიუდან)

◎ ...პირველითგან იყო სიტყვა!..

გათავხედებული „რუსთავი-2“ და... რატომ მეშინია საზმაუს რეფორმების?!

თემები ნამდვილად არ მელევა ამ გაუსაძლის და გაუკუღმართებულ ქვეყანაში, მაგრამ, რადგან დავიწყე, ბოლომდე უნდა დავასრულო!

რომ აუჩემებიათ, სიტყვის თავისუფლებას ექმნება საფრთხე, თუ „რუსთავი-2“-მა მესაკუთრე და სარედაქციო პოლიტიკა შეიცვალაო, იმას რატომ არ ამბობენ, როდის იყო ეს ტელეკომპანია საზოგადოების სამსახურში და როდის იცავდა სახელმწიფოს ინტერესებს?!

მესმის, კერძო საკუთრება ხელშეუხებელი უნდა იყოს, მაგრამ, ჯერ უნდა გავარკვიოთ, რა ბინძური ფინანსებით იკვებება დღემდე „რუსთავი-2“ და რა ზიანი მოუტანა მან ქვეყანას. შორს რომ არ წავიდეთ, მარტო ე.წ. „ვარდების რევოლუციაში“ მათი წვლილიც კმარა. აბა გავიხსენოთ ტელეკომპანიის „რევოლუციური ისტერია“ და მათი თავხედური ლოზუნგი: „რუსთავი-2“ გამარჯვებული ხალხის ტელევიზიაა!“

მაშინ ისე ვიყავით დაზომბირებული „რუსთავი2“-ის ცრუ პროპაგანდით და იმდენხანს გასტანა ე.წ. „ხბოს აღტაცებამ“, არავის უკითხავს, ვისზე გაიმარჯვა ხალხმა – შევარდნაძეზე?... და რა მოიტანა ლოზუნგმა: „ოღონდ შევარდნაძე არა!“

სხვათა შორის, „ოღონდ, სააკაშვილი არა“ – არც ამ ლოზუნგმა გაამართლა ბოლომდე – სააკაშვილი და მისი ხროვა უნდა წასულიყო, მაგრამ, თვალი ყველაფერზე არ უნდა დაგვეხუჭა, მითუმეტეს, „ნაციონალური“ რეჟიმის ფორმალურად (უფრო სწორი იქნება ვთქვათ, სანახევროდ) მოშორებაში ლომის წილი ხალხმა შეიტანა. ლიდერი (ივანიშვილი) კი მოვიდა ზუსტად იმ დროს, როცა უნდა მოსულიყო. ამდენად, ვერავინ დამარწმუნებს, რომ სააკაშვილის რეჟიმის ჩამოშორების სურვილი სპონტანურად იშვა, ან, ხალხის გაუსაძლისმა მდგომარეობამ უკარნახა ვინმეს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სააკაშვილი გააქცია იმან, ვინც მოიყვანა ხელისუფლებაში და მის აღზევებასაც შეუწყო ხელი... ამჯერად უფრო შორს არ წავალ!

ახლა ისევ „რუსთავი-2“-ს დავუბრუნდეთ – დღეს მისი ფუნქცია არა საზოგადოების (სახელმწიფოს) ინტერესების დაცვა, არამედ ხელისუფლების კრიტიკა და მისი დისკრედიტაციაა, რომლის საბოლოო მიზანი მასებში „ნაციონალური“ რეჟიმის მიმართ ნოსტალგიის გაჩენა გახლავთ. მართალია, ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებენ, მაგრამ, სიცრუის მანქანა მაინც კარგად მუშაობს!

აქედან გამომდინარე, „რუსთავი-2“ არც არასდროს ყოფილა და არც მომავალში იქნება ჩემთვის თავისუფალი სიტყვის და საზოგადოების ინტერესების დაცვის გარანტი!

რაც შეეხება საზმაუს (ე.წ. I არხი), აქ გაცილებით რთულადაა საქმე. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მან თავისი ნამდვილი ფუნქცია (სხვა საკითხია, რამდენად ზედმიწევნით ასრულებდა იგი ამ ფუნქციას, ან საერთოდ, ასრულებდა თუ არა) დაკარგოს.

ჩემი ინტუიციით (დაკვირვებითაც), არ გამოვრიცხავ, რომ „რეფორმირების“ ლოზუნგით საზოგადოებრივი მაუწყებელი ან დასუსტდეს (ვიმეორებ, ფუნქცია დაკარგოს), ან „გადარჩენის“ მოტივით სხვა ტელეკომპანიას (სამარჩიელოც არ არის, რომელს)შეუერთდეს. ყოველ შემთხვევაში საეჭვოა, საზმაუს „რეფორმებმა“ ჩვენი (საზოგადოების) სასარგებლოდ ჩაიაროს!

აქ უკვე ჩნდება კითხვა: საით მიდის ეს ყველაფერი და უნდა ვიყოთ თუ არა ჩვენ გულხელდაკრეფილი და პირში წყალჩაგუბებული? ყველაფერი მიდის თუ არა იქითკენ, რომ ქვეყანაში არ არსებობდეს დაბალანსებული და საზოგადოების (და არა ხელისუფლების ან ოპოზიციის) ინტერესების გამომხატველი ტელეკომპანია?

საზმაუს ახალი მენეჯმენტის პირველი ოფიციალური განცხადებები და „რეფორმირების“ მონახაზი დაეჭვების საფუძველს ნამდვილად იძლევა!

თუ ყველაფერი აქეთკენ წავიდა, აი, მაშინ ნამდვილად უნდა გამოვიდეს სრულიად საქართველო თავისუფალი სიტყვის დასაცავად, რადგან, ეს საზოგადოებრივი არხია და მას საზოგადოება ინახავს! თუ „რუსთავი-2“-ისნაირ კომერციულ მედიასაშუალებებთან მიმართებაში არა, აქ საზოგადოებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას არხის სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრაშიც კი და ეს უხეშ ჩარევად არ უნდა ჩაითვალოს!

მართალია, „რუსთავი-2“-თან მიმართებაში ვიყავი არაკოლეგიალური, მაგრამ თუ საზმაუს მიმართ ხელისუფლებას მზაკვრული გეგმები აქვს ჩაფიქრებული, პირველი მე დავდგები თავისუფალი სიტყვის და საზოგადოებრივი არხის დაცვის სადარაჯოზე!

ბოლოთქმა: „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან უკვე თითქმის ხუთი წელი გავიდა და მხოლოდ ახლა გაახსენდათ, რომ იქ „შავადაა“ საქმე! სად იყვნენ აქამდე და რატომ ელოდებოდნენ იობის სიმშვიდით ჩახლამებული ტელეკომპანიის (როგორც ახლა ამბობს ახალი მენეჯმენტი) კიდევ უფრო ჩახლამებას?!

რატომ?! რატომ?! რატომ?!

ზაურ ნაჭყებია

◎ პრობლემა

რეგიონებში დენის გაზრდილ გადასახადს აპროტესტებენ

მოსახლეობა ელექტროენერგიის გადასახადის გამო ჩივის. ზამთრის ცივ თვეებში უამრავმა ოჯახმა ქვითრის მეშვეობით გაზრდილი დარიცხვა მიიღო. პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებშია. მსგავსი ინფორმაცია კვირაში რამდენჯერმე არაერთი მედიასაშუალებით ვერცელდება.

ზუგდიდის მოსახლეობა გაზრდილ კომუნალურ გადასახადებზე საუბრობს. მათი თქმით, ელექტროენერგიის გადასახადი, წინა თვეებთან შედარებით, თითქმის, გაორმაგებულია. ქალაქში მდებარე კუიბიშევის ქუჩის მცხოვრებლები აღნიშნულის მიზეზს ვერ ხსნიან. ისინი შესაბამისი სამსახურებისაგან რეაგირებას და პრობლემის არსში გარკვევას ითხოვენ.

„წინა თვეს მომივიდა 60 ლარი გადასახადი. ამ თვეს 15 დღე სახლში არ ვიყავი და 115 ლარი მაქვს გადასახდელი. გაურკვეველი სიტუაცია დამხვდა. ვინმესთვის მიმართვას აზრი არა აქვს, მოვლენ, შეამოწმებენ, იტყვიან, რომ წესრიგშია მრიცხველი და წავლენ“, – განაცხადა თათია ქეცბაიამ.

ამავე ქუჩაზე მცხოვრები კვარაცხელიების ოჯახის წევრების მტკიცებით, ისინი უმეტესად ბუნებრივ აირს მოიხმარენ, თუმცა წინა თვეს ელექტროენერგიაზე გადასახადი 100%-ით გაეზრდა.

„გაურკვევლობაა ქვეყნის სხვა რეგიონებშიც. ახალციხეში მცხოვრებლები ჩივიან, რომ იანვარში, ელექტროენერგიაზე გაზრდილი გადასახადი მიუვიდათ და ფიქრობენ, რომ ტარიფმა მოიმატა.

ორმაგ გადასახადზე საუბრობს მაგული სადათიერაშვილიც. მისი თქმით, წლების განმავლობაში პირველად, ყველაზე მაღალი გადასახადი მიუვიდა:

„წინა თვეში თუ 17 ლარს ვიხდიდი, ახლა 53 ლარი მომივიდა. ვიანგარიშე და თითქმის 22 თეთრზე ავიდა ერთი კილოვატის ფასი. ამ პერიოდში ამდენი დენი არ დამიხარჯავს, ალბათ, მოიმატა ფასმა“, – აცხადებს სადათიერაშვილი.

ამ პრობლემების გამო, ბოლო დღეებში, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ცხელ ხაზზე და ადგილობრივ სერვის-ცენტრში, არაერთი განცხადება შევიდა. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ეხმაურება მედიისა და სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გაზრდილ გადასახადებთან დაკავშირებით. კომისია მიმართავს მოქალაქეებს და მოუწოდებს, რომ გაზრდილ



გადასახადთან დაკავშირებით მიმართონ შესაბამის გამანაწილებელ კომპანიას ან განცხადებით მომართონ კომისიას და კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს.

ასევე, მოქალაქეებს კომისიაში კონსულტაციების გავლა შეუძლიათ ქოლ ცენტრის საშუალებითაც ნომერზე – 16 216. კომისია ინდივიდუალურად შეისწავლის მოქალაქეთა განცხადებებს და იმ შემთხვევაში თუ მოკვლევის შედეგად დადასტურდება ზედმეტი დარიცხვა, მოქალაქეებს ზედმეტად დარიცხული თანხები ჩამოეწერებათ. კომისია აქვე განმარტავს, რომ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფები არ გაზრდილა.

ბექა დანელია

ავნევში ნაღმის აფეთქებას 22 წლის მამაკაცი ემსხვერპლა

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, **სოფელ ავნევში, 22 წლის მამაკაცი ნაღმზე აფეთქდა და ადგილზე გარდაიცვალა.**

რუსული მედია ნაღმის ფოტოს ავრცელებს და ირწმუნება, რომ ის ქართული წარმომავლობისაა და 2008 წლის ომის შემდეგ არის სოფელში დარჩენილი. ცხინვალის თვითაღიარებული ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სოფელი განაღმული იყო.

ოთხოზორიას მკვლელის ინტერპოლის წითელ ცირკულარში ჩასმას ითხოვენ

„მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველო“ გიგა ოთხოზორიას მკვლელის ინტერპოლით ძებნაზე დასმას ითხოვს. აღნიშნულთან დაკავშირებით ბრიფინგი ოთო კახიძემ გამართა, მან მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას იმოქმედოს შესაბამისად, გაატაროს ყველა ზომა, რათა მოხერხდეს ოთხოზორიას მკვლელის დაკავება და საქართველოში ექსტრადირება.

ცვლილება საგზაო უსაფრთხოებისთვის

რა შეამცირებს საგზაო დარღვევებს?

მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე ამოქმედდება. პარლამენტი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებებისა და მასთან დაკავშირებული კანონპროექტების განხილვას დაუბრუნდა. 20 თებერვალს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საქართველოს მთავრობის კანონპროექტის განხილვა დაიწყო, რაც გუშინაც გაგრძელდა. რას გულისხმობს მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა და რა მიზანს ემსახურება ის?

„საქართველოში არიან მძღოლები, რომლებიც წელიწადში ჯარიმის სახით 7-დან 10 ლარამდე იხდიან“, – განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **შალვა ხუციშვილმა**. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს მთავრობის ინიციატივისა, შექმნილიყო კანონპროექტი, რომელიც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში ცვლილებებს გულისხმობს. კანონპროექტი პარლამენტში 20 თებერვალს შალვა ხუციშვილმა წარადგინა და ის ითვალისწინებს მართვის მოწმობაზე ქულების სისტემის შემოღებას. ანუ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის პრევენციული კომპონენტის გაძლიერების მიზნით, კანონპროექტის თანახმად, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე უნდა ამოქმედდეს ე. წ. 100-ქულიანი მართვის მოწმობის სისტემა. თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოიწვევს მართვის მოწმობაზე მინიჭებული 100 ქულიდან კონკრეტული რაოდენობის ქულის გამოკლებას. კალენდარული წლის განმავლობაში სამართალდარღვევების გამო ქულების განულებას მართვის უფლების შეწყვეტა მოჰყვება და მძღოლი იძულებული იქნება, გამოცდა მართვის უფლების მისანიჭებლად ხელახლა ჩააბაროს უფლების შეწყვეტიდან არა უადრეს ორი თვისა. კანონპროექტის თანახმად, მძღოლს ქულათა მოსალოდნელი განულების შემთხვევაში წინასწარ ეცნობება მაშინ, როდესაც მის მართვის მოწმობაზე მხოლოდ 20 ქულაღა იქნება დარჩენილი. შალვა ხუციშვილი 100-ქულიანი მართვის მოწმობის შემოღების მიზანზე ლაპარაკობს:

„ყველა მძღოლმა გააცნობიეროს თითოეული დარღვევის მნიშვნელობა და რეალურად მიხვდეს, რომ ამ ჯარიმას მხოლოდ ფულადი განზომილება არა აქვს და არ ღირს კონკრეტული თანხა, არამედ მისი თითოეული დარღვევა არის დამოკიდებულება იმ წესებთან, იმ მართვის მოწმობასთან, რაც მას სახელმწიფომ მისცა გარკვეული ცოდნის საფუძველზე“.

როგორც შალვა ხუციშვილმა აღნიშნა, მართვის მოწმობას ქულები არ ჩამოაკლდება ვიდეოჯარიმების მიღების შემთხვევაში. ამ საკითხით დაინტერესდა დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი:

„მეტი სიცხადისთვის ვიდეოჯარიმები არ იმოქმედებს ქულების შემცირებაზეო, ეს ნიშნავს იმას, რომ წლის განმავლობაში რამდენი ვიდეოჯარიმაც არ უნდა დაფიქსირდეს გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობისთვის ან სხვა სახის დარღვევისთვის, გამოდის, რომ ეს სისტემა ამ ყველაფერს არ მიესადაგება“.

დეპუტატის შეკითხვაზე შალვა ხუციშვილმა განმარტა:

„თქვენ თუ ერთხელ ან ორჯერ დაარღვევთ წესებს, მოგივათ მხოლოდ ფულადი ჯარიმა და ქულა არ ჩამოგეჭრებათ, მაგრამ ჩვენ ვნერგავთ სპეციალურ პროგრამას, რომელსაც სხვადასხვა ანალიტიკური შესაძლებლობები აქვს და თუ თქვენ ვიდეომ, პირობითად, თვის განმავლობაში 20-ჯერ დაგაფიქსირათ, რომ დაარღვიეთ საგზაო უსაფრთხოების წესები და აღმოჩნდით ხშირად დამრღვევთა სიაში, მაშინ თქვენ სამანქანო ნომერს გადავცემთ საპატრულო პოლიციას, გაგაჩერებთ პირველივე პოლიციელი და გეტყვით, რომ არღვევთ წესებს. ანუ იქნება უფრო მეტი კონტროლი და ვეცდებით, რომ საპატრულო პოლიციამ დაგაჯარიმოთ და ქულებიც მოგივიდეთ. ეს არ ნიშნავს, რომ ვიდეოჯარიმები უკონტროლო იქნება“.

100 ქულის განულების შემთხვევაში, მართვის მოწმობის ჩამორთმევა და ხელახალი გამოცდის ჩაბარება თუ მოწმობის მოქმედების გარკვეული ვადით შეჩერება – ეს არის კიდევ ერთი საკითხი, რაზეც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ამ დილემაზე გაამახვილა ყურადღება კომიტეტის თავმჯდომარემ **ეკა ბესელიამაც:**

„იქნებ შეჩერებაზე გვეფიქრა და არა მართვის მოწმობის ჩამორთმევაზე. მაგრამ არ ვიცი, კარგად უნდა დავფიქრდეთ და მოვისმინოთ არგუმენტები, რომელი უფრო შეესაბამება პრევენციას, რისთვისაც ეს ცვლილებები შემოდის. მთავარი ხომ ის არის, რომ ეს გახშირებული ავტოავარიის შემთხვევები, რომლის გამოც 2016 წელს საქართველოში 600-მდე ადამიანი დაიღუპა, შევამციროთ. ეს ტრაგიკული რაოდენობაა“.

გელა კვაშილავა, დამფუძნებელი ფონდისა „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“, რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ყურადღებას ამახვილებს ავტოავარიების შედეგად დაშავებულთა და დაღუპულთა სტატისტიკაზე და ამბობს, რომ, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს დაშავებულთა რიცხვმა 700 ადამიანით მოიმატა და ის 10 000-ს მიუახლოვდა. გაზრდილია დაღუპულთა რიცხვიც. 15 %-ითაა გაზრდილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა, ისევე როგორც გაზრდილია სიჩქარის გადაჭარბების მაჩვენებელი. გელა კვაშილავას თქმით, ეს მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული დარღვევების პრევენციისა და ადმინისტრირების კუთხით ქვეყანას ჩავარდნა აქვს, რისი აღმოფხვრაც კანონმდებლობის დახვეწის გარეშე შეუძლებელია: **„განსაკუთრებით იზრდება სიჩქარის გადაჭარბების, ნასვამობის ფაქტები. წელიწადში 35 ათასამდე ფაქტი ფიქსირდება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვისა, სიჩქარის გადაჭარბების კი წელიწადში 200 ათასი და სადღაც მესამედი დარღვევებისა ფიქსირდება ერთი და იგივე მძღოლების მიერ“.**

აღსანიშნავია, რომ მართვის მოწმობა, რომელიც ქულათა სისტემაზეა მიბმული, ევროკავშირის 22 ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს. გელა კვაშილავას თქმით, გამოკვლევა, რომელიც მან ცოტა ხნის წინათ უცხო ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩაატარა, მეტყველებს იმაზე, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მსგავსი ტიპის მართვის მოწმობები მოქმედებს, ისეთ საშიშ დარღვევებზე, როგორიცაა სიჩქარის გადაჭარბება, ღერძულა ხაზის გადაკვეთა და სხვა, ქულათა სისტემა განსაკუთრებით ეფექტურად აისახა, რადგან მძღოლებს, გარდა ფულადი ჯარიმისა, ექმნებათ დამატებითი ბარიერი, რაც მართვის მოწმობის ხელახლა აღებას გულისხმობს.



ზაზა სინაურიძე: როგორ შევამცირებთ დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობას?

ინტერვიუ VIP კლასის სამშობიარო PINEO-ს სამედიცინო ეკოსისტემის სამედიცინო დირექტორ ზაზა სინაურიძესთან

— ჯანდაცვის სამინისტრო სამშობიარო კლინიკების სელექციურ კონტრაქტირებას პირველი მარტიდან დაიწყებს. კლინიკები, რომლებიც ვერ მიიღებენ სპეციალურ დონეს და წელიწადში მინიმუმ 500 მშობიარე არ ეყოლებათ, ვეღარ ჩაერთვებიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. იწონებთ თუ არა თქვენ ჯანდაცვის სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას და რა შედეგების მიღებას ელოდებით?

— ეს პროცესი სწორი და კარგია. დიდი ხნის წინათ უნდა დაწყებულიყო, რადგან ბაზარზე სამეანო დაწესებულებები საკმაოდ დიდი რაოდენობებით არის წარმოდგენილი.ასეთ მდგომარეობაში კი მომხმარებლისთვის ძალიან რთულია, სწორი კრიტერიუმებით მოახდინოს არჩევა. უნდა არსებობდეს რეგულირება, რომელიც დაწესებულებებს ხარისხობრივად განასხვავებს. ჩვეულებრივ მომხმარებელს ამის უნარი არ გააჩნია, რადგან ამისთვის სპეციფიკური ცოდნაა საჭირო. ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ქვეყანაში არსებული სამედიცინო დაწესებულების შეფასებაა. აქედან გამომდინარე, ეს ნაბიჯი აბსოლუტურად სწორი იყო. დაიდო ხარისხობრივი პარამეტრები და ამის შეფასებით სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ ის დაწესებულება, რომელიც ამა თუ იმ პარამეტრს ვერ დააკმაყოფილებს სახელმწიფო დაზღვევას გამოეთიშება. რაც ყველაზე მთავარია, ეს პარამეტრი ცვლადი უნდა იყოს. დღეს დაიდო ისეთი პარამეტრი, რომელიც აბსოლუტურად გამჭირვალეა, ღიაა და ცვლადია. სწორედ ამის გამო დაიწყეს სელექციური დაფინანსება.

რაც შეეხება შედეგებს, ჯანდაცვის სამინისტროს ეს გადაწყვეტილება რამდენიმე მიმართულებით გააუმჯობესებს ვითარებას. პირველი, შეამცირებს დედათა და ბავშვთა ავადობას და სიკვდილიანობას და მეორე, შეამცირებს საკეისრო კვეთებს. მთლიანობაში, ამაღლდება ხარისხი.

— ბევრი სამშობიარო დადგება დახურვის წინაშე?

— დაწესებულება, რომელიც სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამაში არ იქნება, ეს მის დახურვას არ ნიშნავს. არავინ არ ხურავს ამ კლინიკას, ეს არის ერთგვარი სტიმული, რომ გააუმჯობესონ სერვისი, ხარისხი და შესაბამისად, ბაზარზე წარმოდგენილ მოთამაშეებში იმ თამასას დაეწიოს, რაც დევს. თუ ასწიეს ხარისხი, შემდეგ მოხვდებიან სელექციურ კონტრაქტირებაში. გარდა ამისა, იქ არის საკეისრო კვეთის პროცენტი. ასევე არის რამდენიმე პარამეტრი, რის მიხედვითაც კლინიკების შეფასება მოხდება.

— საკეისრო კვეთის პროცენტი ლიმიტირებულია?

— ლიმიტირებული არ არის, მაგრამ არის გარკვეული ზღვრული ნიშნული, რომლის ზემოთაც მსოფლიოში არ არსებობს. დღეს საქართველოში საკეისრო კვეთები არასწორი ჩვენებებით კეთდება.

— რა ეშველება იგივე ძირად ღირებულ კლინიკას, რომელსაც შესაძლოა, წლის განმავლობაში 500 მშობიარე არ ჰყავდეს?

— ძვირადღირებული კლინიკა თუ არის, ეს იმას ნიშნავს,რომ ორიენტირებულია ისეთ ფენაზე, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. ასეთ კლინიკებს თავისი სეგმენტი ჰყავს.

— საწყის ეტაპზე სელექციური კონტრაქტირება 3 დიდ ქალაქში — თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში დაიწყება. თქვენი აზრით, რეგიონებში არსებულ სამშობიაროები რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან?

— რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, ქუთაისში და ბათუმში ყველა მოქმედი სამშობიაროსთვის ეს დიდი ნიშული არ არის. აქ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არსებობს საერთაშორისო სტანდარტი, სადაც წელიწადში 500 მშობიარე არაფერი არ არის. მინიმუმი 2000 და მეტია. ნებისმიერი პრაქტიკოსი ექიმი, თუ არ იღებს მშობიარობას, არ აკეთებს ოპერაციას და არაკეთებს რაიმე პროცედურას, ძალაუნებურად ავიწყდება, მისი უნარ-ჩვევა ქვეითდება. შესაბამისად, თუ 500-ზე ნაკლები მშობიარე ჰყავს, გამოდის, რომ დღე-ღამეში 1.5 მშობიარეა. ეს ძალიან ცოტაა. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს ნიშნული რაიონებს არ ეხება. რაიონებში 500 კი არა 100 არ ჰყავთ ხანდახან.

— ბევრი კლინიკაა ისეთი, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებულ ნორმებს ვერ დააკმაყოფილებს?

— რამდენადაც ვიცი, პირველადი მონაცემებით ბევრი არ არის. საქართველოს მასშტაბით შესაძლოა, ეს 4-5 კლინიკა იყოს.

— სელექციური კონტრაქტირება სხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებშიც იგეგმება, თუმცა, მოგვიანებით ამ პროცესის სამეანო დაწესებულებებით დაწყება გამართებული იყო?

— ბაზარი ყველაზე მეტად სამეანო დაწესებულებებით არის გაჯერებული. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ:1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში წელიწადში 120 000 მშობიაროობა იყო და იმ პერიოდში თბილისში მუშაობდა 6 სამეანო დაწესებულება. დღეს მშობიაროობა განახევრებულია და ის დააახლოებით 60 000-ს შეადგენს. ამის გათვალისწინებით კი, მარტო თბილისში 22 სამეანო დაწესებულებაა. აქედან გამომდინარეობდა ზუსტად ის, რომ აქცენტი ხარისხზე გაკეთდა.

— ჯანდაცვის სამინისტრო საკეისრო კვეთების დაფინანსების მექანიზმის შეცვლას გეგმავდა. გასულ წელს თქვენც ჩვენთან საუბარში აცხადებდით, რომ აუცილებელია, შემცირდეს საკეისროს ტარიფი, ფიზიოლოგიურისა კი გაიზარდოს და, შესაბამისად ღირებულება გათანაბრდეს. იგი ოპტიმალურ ღირებულებად ორივე მომსახურებაზე 700 ლარს ასახელებს.ამ მხრივ რა ხდება?

— ამაზე მუშაობა საკმაოდ აქტიურად გრძელდება. ალბათ ამ წლის განმავლობაში წინ გადადგმული ნაბიჯები იქნება.

ესაუბრა
სოფო ქსოვრელი

საქართველო მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას უმიზნებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის სხდომაზე შეეხო ხანმოკლე ვიზიტს შვეიცარიაში, რომლის დროსაც უმნიშვნელოვანესი შეხვედრები გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტებთან.

„საუბარი გვქონდა ზამთრის რომელიმე სახეობაში საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე. ამას სჭირდება მომზადება და უკვე გამოკვეთილია ქვეყნები რამდენიმე წლის განმავლობაში. დაახლოებით ხუთწლიან პერსპექტივაში, არ არის გამორიცხული, შევიტანოთ განაცხადი და წარმატებით მივიღოთ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საქართველოში ჩატარების უფლება... შეიძლება ეს იყოს — ფრისტაილი, სნოუბორდი და ა.შ. ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ბიძგი, საქართველოში ამ მიმართულებით ინვესტიციებისთვის და სახელმწიფო გააგრძელებს ძალიან დიდი აქცენტის გაკეთებას, როგორც სახელმწიფო ინვესტიციების და კერძო და საჯარო სტრუქტურებს შორის პარტნიორობის მოდელების გამოყენების თვალსაზრისით“, — აღნიშნა პრემიერმა.

მიხეილ ჯანელიძე: ვიზალიბერალიზაცია საქართველოში მიმდინარე განვითარების პროცესების ბუნებრივი გაგრძელებაა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ წამყვანი ფრანგული არხის „France 24“-ის პირდაპირ ეთერში საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე ისაუბრა.

მისი განცხადებით, ვიზალიბერალიზაცია საქართველოში მიმდინარე განვითარების პროცესების ბუნებრივი გაგრძელებაა. მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო გასულ წელს რეგიონში ევროპული სტანდარტების დანერგვის, ტრანსფორმაციის, ქვეყნის ინსტიტუტების განვითარების, საზღვრის კონტროლის დაცვის, მიგრაციისა და სოციალური პოლიტიკის კუთხით სამაგალითო ქვეყანა იყო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წელს ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლამ, როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირს პოლიტიკური, სექტორული და სავაჭრო ინტეგრაციის შესაძლებლობა მისცა, ხოლო ამ ყველაფრის ბუნებრივი გაგრძელება საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაა. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ წაახალისა ექსპორტი, როგორც ევროკავშირისა საქართველოში, ასევე პირიქით, რაც თავის მხრივ ქვეყნებს შორის უფრო ინტენსიური მოძრაობის აუცილებლობას ქმნის, რათა როგორც ქართველმა, ისე ევროპელმა ბიზნესწრეების წარმომადგენლებმა სხვადასხვა ბიზნესღონისძიებაზე დასწრება შეძლონ.

„2014 წელს ასოცირების ხელმოწერის შემდეგ ევროკავშირი საქართველოს №1 სავაჭრო პარტნიორი გახდა. გასულ წელს გაიზარდა ევროპული ინვესტიციები საქართველოში, მიმდინარე წელს ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაუმჯობესდება“ — აღნიშნა მინისტრმა.

საქართველოში წყალდიდობების მართვის თანამედროვე მეთოდები დაინერგა

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, პროგრამის „წყალდიდობების მართვის თანამედროვე მეთოდები საქართველოში“ ხუთწლიანი შედეგები შეაჯამეს, რომელიც მიზნად ისახავს წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას საქართველოში. შეხვედრის მონაწილეებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე გრიგალავამ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილემ საქართველოში შომბი შარპმა მიმართეს.

წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების მართვის ხელშეწყობის ინიციატივა 2012-2016 წლებში ადაპტაციის ფონდისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდა. პროგრამის ბიუჯეტი 5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

თბილისში ღვინის ახალი მაღაზია გაიხსნა

თბილისში კომპანიის „ღვინის სამშობლო“ ახალი მაღაზია გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი დაესწრო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსასმახურის ინფორმაციით, კომპანია მიზნად ისახავს ქართული ღვინის პოპულარიზაციას და ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მომხმარებლისთვის სწორად მიწოდებაზეა ორიენტირებული.

„თბილისის ისტორიულ უბანში ასეთი ობიექტის არსებობა მნიშვნელოვანია, როგორც ტურისტებისთვის ქართული ღვინის კულტურის გაცნობის, ასევე ზოგადად, ადგილობრივ ბაზარზე ღვინის მოხმარების კულტურის ამაღლების კუთხით. მისასალმებელია, რომ მაღაზიის ვიზიტორებს ღვინის სპეციალისტები და პროფესიონალი სომელიეები მოემსახურებიან“ — აღნიშნა დავითაშვილმა.

კომპანიის „ღვინის სამშობლო“ დამფუძნებელის, აკაკი ზერეკიძის თქმით, კომპანია გორის მუნიციპალიტეტში ახლად გაშენებულ ვენახებს ფლობს. პირველ მოსავალს კომპანია მომავალ წელს ელოდება. მომავალ წელსვე ღვინის წარმოების დაწყებაც იგეგმება. პროდუქციის რეალიზაციას „ღვინის სამშობლო“ აღნიშნული მაღაზიის გარდა, ადგილობრივ ბაზარზე და საზღვარგარეთ გეგმავს.

ქართველი ერის მშვენიერი ლედი

მედეა ჯაფარიძე 95 წლის გახდებოდა

მედეა ჯაფარიძის არსებობის ფორმა თავისთავად იყო რომანტიკული ცხოვრების თვალისმომჭრელი სანახაობა. არ ჰგავდა ჩვეულებრივ მოკვდავს. იცოცხლა ისე, რომ საკუთარი ცხოვრებით დაგვანახვა კეთილშობილების, მშვენიერების, ამაღლებულისა და ადამიანის სიყვარულის, სხვისთვის მსახურების აუცილებლობა.

მედეა ჯაფარიძე ქართველი ერის მშვენიერი ლედი იყო!

მართალია, დრო განაპიროობებს პიროვნების ჩამოყალიბებას. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, დრო და საზოგადოებრივი წიაღი წარმოშობს გენიოსს, მაგრამ მედეა ჯაფარიძე ბნელი დროის ნათელი მოვლენა იყო. მის ირგვლივ თანაცხოვრობდა დიდი ოჯახური და პიროვნული ტრაგედია. ინგლისელებმა ბიძა, დედის ძმა, ცნობილი რევოლუციონერი ალიოშა ჯაფარიძე დახვრიტეს. ამ უბედურებამ სულიერი წონასწორობა დაურღვია დედამისს, ხშირად იწვა საავადმყოფოში, საიდანაც შვილის სანახავად გამოიპარებოდა ხოლმე. თავად მსახიობი ასე იგონებდა: **„ოთხი წლიდან მახსოვს, როგორ მომგლეჯდნენ ხოლმე მის კალთას და საავადმყოფოში მიჰყავდათ. დედა პერიოდულად ხდებოდა ავად და ხშირად გვაშორებდნენ ერთმანეთს. ჩემს მეტი აღარავინ ჰყავდა, ამიტომაც მანებივრებდა განსაკუთრებით და ამიტომაც უჭირდა ჩემთან დაშორება... ხანდახან საავადმყოფოდან გამოიპარებოდა ღამღამობით და სახეზე დადენილი მისი ცრემლი მაღვიძებდა. ერთმანეთს ვეხუტებოდით და ასე ვიძინებდით. შემდეგ კვლავ მოვიდოდნენ ვიღაც ადამიანები და ძალით მიჰყავდათ“.**

მედეა ჯაფარიძის ბავშვობა და ახალგაზრდობა დრომ შეიწირა, თითქოს ჩაუკლა მას სიხარული და ბედნიერება, მაგრამ თვითგადარჩენის ინსტინქტმა უფრო მწვავე და აუცილებელი გახადა მშვენიერების საუფლოში ცხოვრებისა და ასპარეზის აუცილებლობა. პირველი დიდი თეატრალური შთაბეჭდილება მის ცხოვრებაში შემოვიდა ქორეოგრაფიით (როგორც იქნა, „გედების ტბაში“ მარინა სემიონოვა ნახა!). არც ის არის შემთხვევითი, რომ თეატრზე ოცნებას გამოხატავადა მის მაგიდაზე ვერიკო ანჯაფარიძის ივდითის სურათი სპექტაკლ „ურიელ აკოსტადან“. ბედმა გაუღიმა და იმ თეატრში მიიღეს მსახიობად, რომელშიც ვერიკო ანჯაფარიძის ივდითი მეორე ცხოვრებას განაგრძობდა. მალევე გახდა ვერიკოს პარტნიორიც. პირველსავე სპექტაკლში ორიოდე სიტყვა უნდა ეთქვა: **„მარგარიტა გოტიე“. უფრო დიდი სიურპრიზი ელოდა მსახიობს — გავიდა დრო და ვერიკომ ივდითის როლი დააკისრა თავის მიერვე აღდგენილ „ურიელ აკოსტაში“.**

მედეა ჯაფარიძის მოსვლა ქართულ თეატრში არ ყოფილა ხელოვნებაში ახალი ესთეტიკის დაბადება, მაგრამ მისი თამაშის სტილისტიკას მდიდარი წარსულის რომანტიკული სურნელიც ჰქონდა შერჩენილი და ახალი გულწრფელობის ნიშნითაც იყო დაღდასმული. თანდაყოლილი კეთილშობილების გამო, ადვილად შეიყვარეს და ბუნებრივად დაიკავა თავისი ადგილი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა თანავარსკვლავედში. ბოლოს, ვერიკოს მეზობლად ცხოვრობდა. მაშინდელი სუმბათაშვილ-იუჟინის (ახლანდელი ვერიკო ანჯაფარიძის) ქუჩა ფიქრის გორაზე ამდენ საოცრებას იტევდა!

ყველასთვის მოულოდნელად მედეა ჯაფარიძე ცოლად მსახიობ გრიგოლ კოსტავას, მერაბ კოსტავას ბიძას, გაჰყვა. მოგვიანებით ასე იხსენებდა: „ბევრს ახსოვს მერაბი, ვაჟკაცური, ღრმად ქართველი, მტკიცე ხასიათის, შეუპოვარი... სწორედ ასეთი იყო გრიშაც“. ახლობლები იხსენებდნენ: მედიკო სხვათა რჩევით მისთხოვდა ასაკით მასზე უფროსსო. ეგონათ, პატრონს გაუჩენდნენ ბედისაგან დაჩაგრულს, მაგრამ პირიქით მოხდა — გრიშა დააპატიმრეს და იგი მედიკოს საზრუნავი გახდა... დიახ, გრიგოლ კოსტავას პოლიტიკური წარსული გაუხსენეს და, ორ მეგობართან ერთად, დაიჭირეს, აწამეს... ამას არ დასჯერდა ტოტალიტარული რეჟიმი და სამივეს დახვრეტა მიუსაჯა. ამ დროს 20 წლის იყო მედეა ჯაფარიძე. მისი ერთადერთი მიზანი მეუღლის გადარჩენა გახდა. აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის დამ, მარგარიტა მუსხელიშვილმა, მოსკოვში წერილი გაატანა ადმირალ ივანე ისაკოვთან, რათა ეშუამდგომლა ვასილ ულრიხთან, რომელიც საბჭოეთში განაგებდა პოლიტპატიმართა ბედ-იღბალს და სტალინური რეპრესიების ერთ-ერთი გამოჩენილი შემსრულებელი იყო. ამ პერიოდისთვის ვ. ულრიხი ერთდროულად იყო როგორც სამხედრო კომისიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ისე, — სსრკ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. 6-თვიანი ლოდინის შემდეგ მედეა ჯაფარიძე კრემლის კაბინეტში შეხვდა ფაქტობრივ ჯალათს, რომელიც თითქმის ყველას უარით ისტუმრებდა. მსახიობის არაამქვეყნიური მშვენიერებით დატყვევებულს უთქვამს: „ანგელოზს თხოვნები აქვსო? — მიბრძანეთ!“ გასაოცარი და დაუჯერებელი იყო

ის, რომ განაჩენი შეიცვალა და სამივე პატიმარს 10-10 წელი მიესაჯა.

მის სიკეთეს არ ჰქონდა საზღვარი. ერთი პერიოდი უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. სხვაზე ზრუნვაში დავიწყდა ოჯახი, თეატრიც კი — საამისოდ დრო აღარ რჩებოდა, რადგან უნდა ეშოვა საბარგო მანქანები, ხე-ტყე, ცემენტი, კოპტონი (საქონლის საკვები ჩენჩო) კოლმეურნეობისთვის, თუმცა არც იცოდა, რა იყო ეს კოპტონი. წლების განმავლობაში მედეა ჯაფარიძის შუამდგომლობით 126 ადამიანი გადაურჩა ციხესა და დახვრეტას. ვინ დაუდგებოდა წინ მის კეთილ ნებას?! ალბათ, უფრო იმიტომ, რომ მედეა ჯაფარიძისგან ასხივებდა ისეთი რაღაც, რასაც სხვაში ვერ იპოვიდი და ეს „რაღაც“ მისი პიროვნების მარკერი იყო! დეპუტატად მეორედ აღარ აირჩიეს. ხუმრობდნენ: ციხეში პატიმარი აღარ დაგვიტოვაო! მხოლოდ მას შეეძლო, ეთხოვა გენერალური პროკურორისთვის პოლიტპატიმრის გათავისუფლება, ებრძოლა და მოეთხოვა ყველაფერი, რაც კი სხვას სჭირდებოდა...



რომან რუდენკო ცნობილი საბჭოთა ჩინოვნიკი იყო, სრულიად უნიკალური მოვლენა თუნდაც იმით, რომ თითქმის 50 წელი (1953-1981) მუშაობდა საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორად; საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალზე, ნიურნბერგის პროცესზე, საბჭოთა ბრალმდებლის მოვალეობა დაკისრეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუდენკო საქართველოში ესწრებოდა სტალინური რეპრესიების შედეგად დაღუპულთა რეაბილიტაციის პროცესს მაშინდელ რკინიგზის კულტურის სახლში. სწორედ ამ რუდენკოსთან მივიდა მედეა ჯაფარიძე პოლიტპატიმრის, როგორც ამბობენ, მერაბ კოსტავას გათავისუფლების თხოვნით. საინტერესოა თავად გენერალური პროკურორის მოგონება (გურანდა გაბუნიას ნაამბობის მიხედვით): „თავჩახრილი ვზივარ კაბინეტში, ვმუშაობ!. უცებ გაიღო კარი და შემოფრინდა ანგელოზი — თეთრ კაბაში გამოწყობილი, თავზე ვარდისფერი ქუდით. ის მოფრინდა ჩემს სამუშაო მაგიდასთან, რაღაც წაიჟღურტულა, შემდეგ წინ დამიდო ქაღალდი და თითით მანიშნა, სად უნდა მომეწერა ხელი. მეც ხელი მოვაწერე. მერე ამ ანგელოზმა მგონი მადლობა გადამიხადა, მგონი რაღაც წამიმღერა კიდეც... აიღო ქაღალდი, შემობრუნდა და გაფრინდა... ამის შემდეგ ხშირად ვფიქრობდი: ღმერთო ჩემო, ვინ იყო ის ანგელოზი ან, საერთოდ, რაზე მოვაწერე ხელი?! მერე გავიგე, რომ მედიკო ყოფილა“...

როცა მერაბ კოსტავა ციხიდან გაათავისუფლა, მედეა ჯაფარიძე უკვე აღარ იყო დეპუტატი!

პირადი ცხოვრება მუდამ ზურგს აქცევდა, ვიდრე რეზო თაბუკაშვილს არ შეხვდა (1947 წ.) და არ დაიწყო დიდი და უჩვეულო სიყვარულის ეპოპეა. **ისინი რენესანსული ტიპის ხორცშესხმული ადამიანები იყვნენ უგმირო და უსულო რეალობაში.** თვალშეუდგამი და მიუაჩრდილებელი ფიზიკური სილამაზე ერწყმოდა სულის მშვენიერებას. ჩვენ წინაშე იყო ანტიკური ხელოვნების მთავარი პრინციპის სახეობა — ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული. ყველა მუხლს იყრიდა ამ სილამაზის წინაშე — ნაცნობიც და უცნობიც, ქართველიც და ისინიც, ვინც არაფერი იცოდა ამ ორი ადამიანის შესახებ. ერთხელ მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში შევიდნენ. ორკესტრი უკრავდა. ვიდრე თავიანთ სუფალ მაგიდასთან მივიდოდნენ, ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა. მთელი დარბაზი მათკენ შემობრუნდა, ჯერ აღტაცების ხმები გაისმა, მერე კი ტაშმა იქუხა — იგონებდა მალხაზ აბდუშელიშვილი. არაამქვეყნიურსა და არამიწიერ სილამაზეს დაუკრეს ტაში. მშვენიერების წინაშე ყველა და ყველაფერი უძლურია!

მედეა ჯაფარიძე ბედნიერი ქალი იყო, რადგან სწამდა და უყვარდა! მძიმე ცხოვრების ანარეკლად კი უძირო სევდით სავსე თვალები შერჩა.

მეც იმ ქუჩაზე ვცხოვრობდი, რომელზეც დააბიჯებდა სიკეთისა და რომანტიკის ცოცხალი განსახიერება. მახსოვს რეზო თაბუკაშვილის გარდაცვალების შემდეგი ოთხი წელი: ფიქრის გორაზე შორეული მზერით, ფრთხილი ნაბიჯებით მოსიარულე მსახიობი, რომლისთვისაც დრო გაჩერდა და თავადაც უჟამო ჟამის სიმბოლოს უფრო მოგაგონებდათ. ყველა დიდი თანაგრძნობით შეჰყურებდა, თუმცა ძნელი იყო, უკვე სხვა სამყაროზე მოფიქრალისთვის დაგერღვია მყუდროება. მედეა ჯაფარიძის პიროვნება რაღაცნაირად ახერხებდა და თხზავდა ირგვლივ პოეტურად იშვიათს. თვალშისაცემი კდემამოსილება, სიდარბაისლე და ქართული სინაზე იპყრობდა ყველასა და ყველაფერს. შეგეძლო, მედიკოსთვის სახელმწიფო ჩაგებარებინაო — ამბობდა ლილი იოსელიანი. მისი ფიქრითა და სიბრძნით გასხივოსნებული სილამაზე უფრო აჯადოებდა ყველას და არა მხოლოდ მიამიტი ფერიას მსუბუქი მშვენიერება.

გადის დრო, — სასტიკი და სარკასტული. ალბათ, ამიტომ უფრო მძაფრდება მედეა ჯაფარიძის მონატრება. ერთხელ ნათელა ურუშაძეს ვკითხე:

— ამიხსენით, რატომ მენატრება მედეა ჯაფარიძე, მსახიობი, რომელსაც პირადად არც ვიცნობდი-მეთქი?!

მან ჩვეული სიბრძნითა და კეთილგონიერებით მიპასუხა:

— რთულ დროში ვცხოვრობთ! ბევრი ღირებული გადაფასდა და ჩვენც უფრო უხეში გავხდით. ამიტომ, ახლა, შესაძლოა, მედეა ჯაფარიძისთანა ადამიანი და ხელოვანი ვინმემ არ ჩათვალოს დღევანდელი მსახიობის ნიმუშად, მაგრამ მას აუცილებლად მიიჩნევს იმ გუშინდელ დღედ, რომლის დაკარგვასაც ყველა განიცდის, რადგან, რაც უნდა მოხდეს, ვერც სიკეთეს და ვერც რომანტიკას ვერ შეელევა ადამიანი!

მეც ღვთისგან მომადლებული ამ შეულეველი კეთილშობილებისა და სილამაზის მონატრება მტანჯავს და არ მასვენებს ერთი შეკითხვა: „მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება?!“

საბა მეტრეველი

თენგიზ მუშკუდიანი:

საქართველოში კარგ ხმებს რა გამოლევს

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია გამოჩენილი საოპერო მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი თენგიზ მუშკუდიანი. იგი გახლავთ ჭეშმარიტი კოლორიტი 50-იან წლებში მოღვაწე საოპერო რაინდებისა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართულ საოპერო საშემსრულებლო ხელოვნებაში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

ბატონი თენგიზი ხელოვნების ქურუმია, ცოტა ხნის წინათ კი ჩვენმა საზოგადოებამ ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ მას ვარსკვლავი გაუხსნა.

— ბატონო თენგიზ, მიხარია, რომ თქვენთან საუბრის საშუალება მომეცა. დავიწყოთ თავიდან. როდის დაიწყეთ სიმღერა, ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები და ვის ან რას უმადლით, რომ ასეთი რანგის მომღერალი გახდით?

— სიმღერა ბავშვობიდან იყო ჩემი ძლიერი გატაცება, სიყვარული და ოცნება, მაგრამ ამის შესახებ ოჯახში არაფერი იცოდნენ. როგორც კი დროს მოვიხელთებდი და სახლში მარტო ვრჩებოდი, ბუნებით მორცხვი, ფანჯრებს ვხურავდი და მთელი არსებით სიმღერას ვიწყებდი. მახსოვს, ბიძამ მოსკოვიდან გამოგვიგზავნა პატეფონი და ფირფიტები. სახლში მარტო დარჩენილი, ვატრიალებდი ლემეშევისა და კოზლოვსკის რეპერტუარს და დიდი გატაცებით ავყვებოდი ხოლმე მათ ხმებს.

მართალი გითხრათ, არ მახსოვს იმ პირველი სპექტაკლის სახელწოდება, რომელიც ბავშვობაში ვნახე, მაგრამ, ის კი არასოდეს დამავიწყდება, როგორი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. შემდეგი სპექტაკლი იყო „ოტელო“. გამოგიტყდებით, მაშინ ვერაფერი გავუგე. როცა წამოვიზარდე, ოპერის ხშირი სტუმარი გავხდი. მახსოვს, ერთხელ ჩემმა უფროსმა მეგობარმა ოპერაში გუნდის რეპეტიციას დამასწრო. ფარდა აწეული იყო. რეპეტიციის დაწყებამდე მან სცენაზე თამამად გაიარა და ხმა მოსინჯა. ვუყურებდი და შევნატროდი მის ბედს. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ არც ისე შორს იყო ის დრო, როდესაც ამ სცენაზე ფეხს მოვიკიდებდი, როგორც სოლისტი და ჩემი ცხოვრების უბედნიერეს წლებს სწორედ ამ თეატრში გავატარებდი.

ჩემი პირველი მასწავლებელი ვოკალში გახლდათ ვალერიან ქაშაკაშვილი, რომელთანაც ჩვენი ოჯახის ახლობელმა მიმიყვანა. ბატონი ვალერიანი იტალიის ვოკალურ სკოლას იყო ნაზიარები, იტალიის საოპერო სცენაზე ჰქონდა შესრულებული ბარიტონის პარტიები. მისი რჩევითა და ხელმძღვანელობით 2 წელიწადი ვსწავლობდი „ნიჭიერთა ათწლედში“. მახსოვს, მე-9 კლასში მონაწილეობა მივიღე ამ სკოლის დაარსების ათი წლის საიუბილეო კონცერტში, რომელიც კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა. შევასრულე ბეთჰოვენის რომანსი „სამარის ქვის ქვეშ“ და არაყი შვილის „ურმული“. ნერვიულობისგან კანკალმა ამიტანა და, თუმცა სიმღერა დავასრულე და ტაშიც დამიკრეს, მაინც მეგონა, რაღაც გავაფუჭე და, სახლში დაბრუნებულმა, გადავწყვიტე, სიმღერაზე ხელი ამეღო. იმ საღამოსვე მომაკითხეს სახლში ვალერიან ქაშაკაშვილმა და ათწლედის იმდროინდელმა დირექტორმა გიორგი თაქთაქიშვილმა. შემაქეს, ეჭვები გამიფანტეს და დამარწმუნეს, მეცადინეობა გამეგრძელებინა. ასეთი თაობა ზრუნავდა ჩვენს აღზრდაზე. 1954 წელს დავამთავრე კონსერვატორია საკმაოდ დიდი რეპერტუარის ცოდნით. ჩემი დებიუტი საოპერო თეატრში ძალზე უცნაურად შედგა. თბილისში ჩამოსული იყო ჩემი სათაყვანებელი მომღერალი დავით გამრეკელი. „ონეგინში“ ბანის პარტიის შემსრულებელი ავად გახდა და დიმიტრი მჭედლიძემ არჩევანი ჩემზე შეაჩერა. მახსოვს, ხელი მომხვია და მეორე დღეს თეატრში მისვლა მთხოვა. როცა მისვლის საბაბი გავიგე, სუნთქვა შემეკრა, გრემინის პარტია დავით გამრეკელთან უნდა მემღერა და თანაც საორკესტრო რეპეტიციის გარეშე. დათიკოს საოცარმა პარტნიორობამ, მისი უნიკალური ხმის ტემბრმა ისე მომაჯადოვა, რომ დაძაბულობა მომეხსნა, საკმაოდ მშვიდად შევასრულე არია და ოვაციებიც დავიმსახურე.

ჩემი, როგორც მომღერლისა და პიროვნების ჩამოყალიბებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის მარკ რეიზანს, „ბანების მეფეს“, რომელსაც შალიაპინს ადარებდნენ. მასთან გავიარე გრემინის, მეწისქვილის, ბორისის, მეფისტოფელის, დონ-ბაზილიოს პარტიები და მრავალი კამერული ნაწარმოები.

— ბანის ყველა მთავარ პარტიას ასრულებდით?

— ძალიან ახალგაზრდა, 27 წლის ვიყავი, როცა ბორის გოდუნოვი, მეფისტოფელი და სხვა პარტიები ვიმღერე. ამ ასაკში ეს ძალიან ადრეა. მაშინ იმდენი გამოცდილება, რა თქმა უნდა, არ მქონდა, მაგრამ მერე თანდათან დავიხვეწე და მეტი პროფესიონალიზმი შევიძინე. ახალგაზრდა მომღერლისთვის უცბად ყველაფრის გაკეთება ძალიან ძნელია.

— უფრო რომელი პარტია გაითავისეთ და შეიყვარეთ?

— ჩემს ბუნებასთან უფრო ახლოს იყო ბორის გოდუნოვი. მისი შესრულების დროს ვგრძნობდი, როგორ ვვითარდებოდი, რადგან ბევრს ვფიქრობდი, ვაზროვნებდი, ასევე იყო მეფისტოფელის პარტიაშიც და კიდევ ბევრ სერიოზულ, საოპერო ხელოვნებაში ფუნდამენტურ ოპერაზე მუშაობის დროს.

„აბეზარა“

— თქვენი ხმითა და არტისტული მონაცემებით მსოფლიოს ნებისმიერ საოპერო სცენას დაიპყრობდით. საზღვარგარეთიდან თუ გქონდათ მიწვევები?

— მაშინ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ ნიჭიერ ხალხს, ეძებდნენ ტალანტებს და პირობებს უქმნიდნენ, რომ მათი ნიჭი განვითარებულიყო. ნიჭიერთა ათწლედი ომის შემდგომ პერიოდში დაარსდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი გახლდათ. იქ გაიზარდა თითქმის ყველა ნიჭიერი მუსიკოსი. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ, ასე ვთქვათ, მოდაში იყო კლასიკური მუსიკა. იცით, რა ხდებოდა ოპერის თეატრში? გადაჭედილი იყო დარბაზი და მათ შორის ჭარბობდნენ ახალგაზრდები.

ვიკრიბებოდით ოპერის მოყვარული ახალგაზრდები და, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ვესწრებოდით სპექტაკლებს, ზეპირად ვიცოდით საოპერო თეატრის მთელი რეპერტუარი. მერე იყო მსჯელობა და კამათი, ვინ როგორ იმღერა, რა ვერ გააკეთა. ასეთი მსჯელობა და კამათი, ცხადია, ავითარებს ადამიანს. „გოსკონცერტი“ გვაძლევდა საშუალებას, კამერული მუსიკით შემოგვევლო საბჭოთა კავშირი. ეს ფუფუნება გახლდათ. რაც შეეხება საზღვარგარეთს, ჩემი პირველი გასვლა იყო პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. პრაღის საოპერო თეატრის სცენაზე ვიმღერე „ფაუსტი“ და დიდი წარმატებაც გვქონდა. რამდენადაც კარგად იმღერებდა მომღერალი საზღვარგარეთ, იმდენად დიდი იყო „პრესი“ მთავრობის მხრიდან, სულ ეშინოდათ, იქ არ დავრჩენილიყავით. პოლონეთში რომ ვიმღერე კონცერტზე, ჩემთან მოვიდა ხანშიშესული მუსიკოსი ქალბატონი და მითხრა, თქვენ შესანიშნავი ხმა გაქვთ და, თუ უფლებას მომცემთ, ჩემს მეგობრებს მოვასმენინებო. წავიდა თუ არა, ჩემთან მოვიდა ერთი ადამიანი, რომელიც გასტროლების დროს მოგვყვებოდა და რომელიც მე ადმინისტრატორი მეგონა. მან მითხრა, რომ მეორე დღეს იმ ქალბატონს სასტუმროში არ უნდა დავხვედროდი. რა თქმა უნდა, არ დავხვდი, რადგან ცოტა შემეშინდა კიდეც, მაგრამ მერე სულ ვფიქრობდი, რა უხერხულად გამოვიდა ჩემი მხრიდან, მე ხომ ის მოვატყუე. მერე უცებ გაიხსნა საზღვარგარეთის კარი, იმ დროს, როცა მე აღარ ვიყავი ახალგაზრდა. დაიწყეს მომღერლების გაგზავნა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სასწავლებლად.

— ამბობთ, პარტნიორებში, კონცერტმაისტერებსა და დირიჟორებშიც ბედი გწყალობდათ.

— ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს საოპერო სტუდიის ზეიმი იყო ჩემი თაობის სტუდენტთა ძალებით დადგმული ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. მთელი თბილისი ალაპარაკდა ზურაბ ანჯაფარიძის ამობრწყინებაზე. ასევე აღტაცებით ლაპარაკობდნენ მის პარტნიორებზე გულნარა ქართველიშვილსა და ნათელა ტუღუშზე. საოპერო სტუდიაში მუშაობდნენ შესანიშნავი რეჟისორები. მადლიერების გრძნობით მინდა გავიხსენო ბატონი შოთა აღსაბაძე.

ჩემი პირველი კონცერტმაისტერი იყო საოცრად დახვეწილი პიროვნება მაკა ჯორჯაძე. იგი გახლდათ ჩემი პირველი ნაბიჯების მეკვლე და დიდი გულშემატკივარი. ასევე მარია კამოევა, ტატიანა დუნენკო, საქვეყნოდ აღიარებული ვაჟა ჩაჩავა, პროფესორი ლ. გოგლიჩიძე, ლ. დადივაძე და სხვები.

ჩვენი პარტნიორები წინა თაობის წარმომადგენლებიც იყვნენ ხოლმე და ისეთი კეთილგანწყობა სუფევდა ჩვენ შორის, რომ, თუ წარმატებით ვიმღერებდით, მეორე დღეს გვილოცავდნენ, გვამხნევებდნენ და ეს იყო ძალიან დიდი სტიმულის მომცემი. გული მტკივა, რომ ასეთი დამოკიდებულება დღეს აღარ არსებობს, სადღაც დაიკარგა.

— ბატონო თენგიზ, ცოტამ თუ იცის, რომ თქვენ სასიმღერო კარიერამდე სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრეთ და დიპლომირებული ექიმი ბრძანდებით.

— მამას უნდოდა, ექიმი ვყოფილიყავი და ნატვრა ავუხდინე. ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდები და ჩავრიცხე სამკურნალო ფაკულტეტზე. დავამთავრე ინსტიტუტი, მამას ჩავაბარე დიპლომი და ჩემს გატაცებას, მომღერლობას შევუდექი.

— საზოგადოებას კარგად ახსოვს ნიკოლოზ სანიშვილის ფილმ „აბეზარაში“ თქვენ მიერ არაჩვეულებრივად განსახიერებული მთავარი როლი, ასევე ჭიაბერი „დიდოსტატის მარჯვენაში“.

— მაშინ სამთავრობო კონცერტები იმართებოდა ხოლმე და, ეტყობა, იქ მნახა ნიკოლოზ სანიშვილმა. ძალიან დაკავებული ვიყავი სიმღერით და კინოსთვის არ მეცალა, მაგრამ მაინც დიმიტრი მჭედლიძეს ვთხოვე რჩევა. რადგან ზაფხული ახლოვდებოდა და თეატრში სეზონი იხურებოდა, გადავწყვიტე, დავთანხმებოდი. ასე გავატარე ზაფხულის სამი თვე გადასაღებ მოედანზე. იქ მისულს, კინოს ისეთი თანავარსკვლავედი დამხვდა, თავდაპირველად ცოტას კი არა, გვარიანად ვღელავდი, მაგრამ, როცა ვნახე, როგორი თავისუფლები იყვნენ კამერის წინ, გადავწყვიტე, რაც იქნება, იქნება, მეც გავთავისუფლდები და, ვინც ვარ, იმას განვასახიერებ- მეთქი. ეს როლი ჩემგან დიდ ძალისხმევას არ მოითხოვდა, რადგან ჩემს თავს ვთამაშობდი, მაგრამ ჭიაბერის როლს ბევრი ფიქრი და ჩაღრმავება სჭირდებოდა, რადგან უნდა შექმნილიყო განსხვავებული სახე, ტიპაჟი.

— ბატონო თენგიზ, 57 წლის ასაკში დატოვეთ ოპერის სცენა. არასოდეს გინანიათ?

— ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი, როცა სცენა დავტოვე. ოდისეი დიმიტრიადი სულ თავში იცემდა ხელს — სად მიდისო, მაგრამ ძალიან დავიღალე. მომღერალს განსაკუთრებული რეჟიმი და თავის მოვლა სჭირდება. ცივი წყლის დალევის უფლებაც კი არ მქონდა!.. შევნატროდი იმ თავისუფალ ადამიანებს, რომლებიც მაშინ გააბოლებდნენ სიგარეტს, როცა მოუნდებოდათ. დავწერე განცხადება და წამოვედი.

— მაგრამ უკვე 35 წელია, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური კათედრის პროფესორი ბრძანდებით და მრავალი საამაყო მოსწავლე აღზარდეთ. დღესდღეობით თუ არსებობს კონსერვატორიაში საიმედო კადრი, რა თქმა უნდა, ვოკალისტებს ვგულისხმობ.

— საქართველოში კარგ ხმებს რა გამოლევს. არიან ნიჭიერი სტუდენტები, კარგი ხმებით და, ვნახოთ, რა გამოვა. მომავალი გვიჩვენებს.

— ამას წინათ ვნახე ვიდეო, სადაც თქვენმა სტუდენტებმა 89 წლის იუბილე მოგილოცეს. ეს იყო ძალიან ამაღელვებელი და ნამდვილი დღესასწაული. წარმოიდგენდით, რომ ასე მოგილოცავდნენ?

— არაფერი არ ვიცოდი, მივედი კონსერვატორიაში, ავიარე კიბე და დავინახე შეკრებილი ხალხი. თავიდან შემეშინდა, ვიფიქრე, რაღაც მოხდა-მეთქი, მაგრამ, როცა ღიმილიანი სახეები შევნიშნე, დავწყნარდი. ამ დროს დასჭექეს „მრავალჟამიერი“. ეს ყველაფერი ძალიან კარგი იყო.

— და მაინც, ძალიან იშვიათია, როცა ადამიანში ერთდროულად ასეთი ნიჭიც არის, არტისტული გარეგნობაც და პიროვნული ხიბლიც. თქვენ თუ გრძნობდით, რომ უზენაესმა ასე უხვად დაგაჯილდოვათ?

— ჩემს ცხოვრებაში შური რა გრძნობაა, არ ვიცოდი და დღემდე ასე ვარ. არასოდეს ვფიქრობდი, პირველად მამღერებდნენ თუ მეორედ. მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ მემღერა და მეტი არაფერი. ამან, ეტყობა, დიდი როლი ითამაშა ჩემი ხმის ჩამოყალიბებაში და, საერთოდ, ცხოვრებაში. 27 წლის ვიყავი, როცა ოპერის თეატრი მოსკოვში საოპერო ხელოვნების დეკადაზე წავიდა. იქ ვიმღერე და, რომ ჩამოვედი, საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მომანიჭეს. სულ მიკვირდა, ვფიქრობდი, რით დავიმსახურე ეს.

— ბატონო თენგიზ, ცანგალას არიის უბადლო შემსრულებელი, არ შეიძლება, ბრწყინვალე თამადაც არ იყოთ.

— შეხვედრები, მოლხენა, ქართული პურმარილი ძალიან მიყვარდა, მაგრამ თამადობა — არა. ყოველთვის ვერიდებოდი, სამ კაცშიც კი უარს ვამბობდი.

— ამ ასაკში რაზე ოცნებობთ?

— ახლა მხოლოდ ის მინდა, რომ დაწყნარდეს ჩვენი ქვეყანა და ხალხი, ქუჩაში გასულს, მომღიმარი სახეები უფრო ხშირად მხვდებოდეს, შვილები და შვილიშვილები კარგად მყავდეს.

— დაბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით თქვენს ოჯახს. გაგვაცანით იგი.

— მყავს მეუღლე, 3 შვილი და 4 შვილიშვილი. ვაჟები პროფესიით არქიტექტორები არიან, ქალიშვილმა კი პიანისტის გზა აირჩია.

— თქვენი სიმღერის გენს, არ შეიძლება, რომელიმეში არ ემძლავრა.

— სიმართლე გითხრათ, მეც არ მინდოდა, რომელიმე შვილი მომღერალი ყოფილიყო. ძალიან რთული პროფესიაა, თან წინასწარ არ იცი, გამოვა თუ არა რამე. სიმღერა სენივითაა, თუ ერთხელ შეეყარა ადამიანს, სულ რაღაცის გაკეთება უნდა და, თუ არ გაუმართლა, გულის ტკივილი და გაუთავებელი ნერვიულობა მერე ძალიან რთულია.

ესაუბრა
ირინა ტატიშვილი

საქართველო ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების მიზნების ჭრილში

საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება და ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება — ასეთი იყო ნატო-საქართველოს კომისიის ფორმატში განსახილველი ძირითადი თემების ჩამონათვალი. ნატოს თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში გამართულ სხდომაში, რომელსაც ალიანსის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი უძღვებოდა, მონაწილეობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, რომელიც ქვეყნისთვის „განსაკუთრებით საინტერესო თემად" მიიჩნევს შავი ზღვის უსაფრთხოების პერსპექტივებსა და კონკრეტული გეგმების განხილვას, თუმცა დასკვნითი პრესკონფერენციის მსვლელობისას ამ თემაზე მხოლოდ ზოგადად ილაპარაკა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

რამდენად იმედისმომცემია შავი ზღვის უსაფრთხოების პერსპექტივები?

ნატო კვლავაც მტკიცედ და ერთგულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, კვლავაც ძალიან ემადლიერება ერთგულ პარტნიორ ქვეყანას საგანგებო მონაწილეობისთვის გლობალური მშვიდობის უზრუნველმყოფ მისიებში და მუდამ მზად არის დახმარებისთვის განვითარების გზაზე, განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. როდესაც საქართველოს დახმარებაზე ლაპარაკობს, იენს სტოლტენბერგი ახსენებს არსებით პაკეტს, როგორც ძლიერ ინსტრუმენტს, გამიზნულს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებისა და ნატოში გაწევრიანების სურვილის ასრულებისთვის. ყურადღების მიღმა, ცხადია, არ რჩება ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრი და იქ გამართული მასშტაბური სამხედრო წვრთნები.

ალიანსის გენერალურმა მდივანმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე განხილულ საკითხებს შორის იყო საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები, მათ შორის საქართველოს რეგიონებში — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მართალია, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ კომისიის სხდომაზე გაიმართა კონსულტაციები შავი ზღვის უსაფრთხოებასა და რეგიონში ნატოს წარმომადგენლობის გაძლიერებასთან დაკავშირებითაც, მაგრამ მას პრესკონფერენციაზე არ დაუკონკრეტებია, თუ რა როლი დაეკისრება საქართველოს ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელების ჭრილში. გენერალური მდივანი ზოგადი კომენტარით შემოიფარგლება და ამბობს, რომ ალიანსი მუშაობს საქართველოსთან რეგიონში არსებული გამოწვევების გარშემო, უსმენს საქართველოს და იღებს ინფორმაციას მისგან, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნისგან.

2016 წლის ივლისში ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება არის შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე ალიანსის საპასუხო ნაბიჯი რუსეთის მიერ შავ ზღვაში თავისი წარმომადგენლობის გაძლიერების კვალდაკვალ. კერძოდ, საუბარია რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობის მნიშვნელოვან ზრდაზე შავი ზღვის რეგიონში და, მათ შორის, ანექსირებულ ყირიმშიც. საქართველო რომ ჩართული იქნება ამ პროცესში, მას შემდეგ ეს ბევრჯერ ითქვა ნატოს ლიდერებისა თუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან (და ეს აქცენტები, მაგალითად, დაისვა 7-8 სექტემბერსაც, როცა თბილისს სტუმრობდა ჩრდილოატლანტიკური საბჭო, ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის თავმჯდომარეობით), თუმცა დეტალები დღემდე არ დაკონკრეტებულა და ამ საკითხს საგანგებო საჯარო ყურადღება არ დასთმობია თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში (14-16 თებერვალს).

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს ნატო-საქართველოს სხდომის დაწყებამდე შეხვდა. თავდაცვის სამინისტრო საგანგებოდ აღნიშნავს იმ ფაქტის მნიშვნელობას, რომ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ნატოს მინისტერიალის ფარგლებში გაიმართა. ლევან იზორიას განმარტებით, საქართველოს ამ დღეებში ჰქონდა კარგი შესაძლებლობა ალიანსის წევრი ქვეყნებისთვის საკუთარი ხედვა წარედგინა და მაქსიმალური მხარდაჭერაც მიეღო. სხვათა შორის, თავდაცვის მინისტერიალის დასრულების შემდეგ აშშ-ის ახალმა თავდაცვის მდივანმა ჯეიმს მატისმა საქართველოს „ნატოს ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორი" უწოდა და აღნიშნა, რომ ის აფასებს და პატივს სცემს საქართველოს წვლილსა და თავგანწირვას ნატოს საბრძოლო მოქმედებებში ავღანეთში.

როდესაც ნატოს მინისტერიალთან დაკავშირებულ ინტერესებზე ლაპარაკობდა, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ქვეყნისთვის „განსაკუთრებით საინტერესო თემად" მოიხსენია შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების პერსპექტივა და საქართველოს კონკრეტული ჩართულობა ამ მიმართულებით:

„ჩვენ საფუძვლიანად ვიმუშავეთ, ჩვენი კონკრეტული წინადადებები წარვუდგინეთ უკვე ნატოს, თუ რა ფორმით შეიძლება საქართველო იყოს ჩართული შავი ზღვის უსაფრთხოების პრაქტიკულ ღონისძიებებში. საქართველო უკვე ჩართულია სტრატეგიულ დისკუსიებში, მაგრამ აქ ლაპარაკია პრაქტიკულ ღონისძიებებზე".

თუკი შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგია განხორციელდა, ცხადია, ნატოს შესაძლებლობა ექნება უფრო სწრაფად და ეფექტურად შემოვიდეს სამხრეთ კავკასიაში და ორმხრივი სერიოზული კავშირები დაამყაროს — მათ შორის, საქართველოსთანაც — რუსეთის ზეგავლენების შესამცირებლად ამ რეგიონში და ეს ძალიან კარგი იქნებოდა, ეუბნება რადიო „თავისუფლებას" სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის" მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი, თუმცა ის ასევე ფიქრობს, რომ, ნატოს წინაშე დღეს არსებული ფინანსური გამოწვევების გათვალისწინებით, ეს საკმაოდ ძნელად შესასრულებელი ამოცანა იქნება:

„შავ ზღვაში ნატოს გასაძლიერებლად აუცილებელია დიდი ფინანსები, რადგანაც აქ, პირველ რიგში, საუბარია შავ ზღვაში ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების საზღვაო შესაძლებლობების გაძლიერებაზე. ნატომ ორი მიმართულებით უნდა იმუშაოს — ან თანხები უნდა ჩადოს ამ ქვეყნების სამხედრო-საზღვაო და სანაპირო დაცვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, ანდა თავისი წევრი ქვეყნების დანაყოფები გადმოისროლოს და განათავსოს სანაპირო ზოლებისა და პორტების გასაძლიერებლად... მთელი პროცესებია გასავლელი და ამისთვის საჭიროა დიდი თანხები, რის გაღებასაც, როგორც ჩანს, ნატოს ძირითადი წევრი ქვეყნები არცთუ დიდი ხალისით აპირებენ..."

„RFE/RL" (აშშ)

ილჰამ ალიევმა მეჰრიბან ალიევა აზერბაიჯანის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა

აზერბაიჯანის პირველ ვიცე-პრეზიდენტად ქვეყნის პირველი ლედი მეჰრიბან ალიევა დაინიშნა. შესაბამის განკარგულებას ხელი აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა უკვე მოაწერა.

ლე პენმა თავსაბურავის გამო სუნიტ მოძღვართან შეხვედრა გააუქმა

საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა მარინ ლე პენმა ლიბანში ვიზიტისას სუნიტ მოძღვართან შეხვედრა გააუქმა. მიზეზი თავსაბურავი გახდა. დიდი მუფთის პრესსამსახურმა საფრანგეთის ეროვნული ფრონტის ლიდერს თავსაბურავის დახურვა სთხოვა, რაზეც ლე პენმა უარი თქვა. „შეგიძლიათ დიდ მუფთს ჩემი პატივისცემა გადასცეთ, მაგრამ თავსაბურავს არ დავიხურავ", — განუცხადა ლე პენმა პრესსამსახურს.

უკრაინამ ჩურკინზე სამძიმრის მოსმენა არ ისურვა

გაეროში რუსეთის ელჩის გარდაცვალებასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე სპეციალური განცხადების გაკეთებას აპირებდა, თუმცა მისი გადაწყვეტილება უკრაინის წარმომადგენელმა დაბლოკა. კოლეგებმა ვიტალი ჩურკინის ხსოვნას პატივი მხოლოდ წუთიერი დუმილით მიაგეს. უკრაინული მხარის ქმედებას უკვე გამოეხმაურა ოფიციალური მოსკოვი. კრემლის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის განცხადებით, უკრაინული მხარის საქციელი იმ დანაკლისის ფონზე, რაც რუსულმა დიპლომატიამ განიცადა, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ვიტალი ჩურკინი გუშინ გვიან ღამით ნიუ იორკში გულის შეტევით გარდაიცვალა. დღეს ის 65 წლის გახდებოდა.

ლონდონელები ტრამპის ვიზიტს აპროტესტებენ

ლონდონში ტრამპის დაგეგმილ ვიზიტს აპროტესტებენ. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ვიზიტის გაუქმების მოთხოვნით ასობით ადამიანი შეიკრიბა. ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის წინააღმდეგ სამოქალაქო აქტივისტებმა პეტიციაც შეადგინეს, რომელსაც ხელი მილიონზე მეტმა ადამიანმა მოაწერა, თუმცა პრემიერმა მეიმ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა.

სტამბოლსა და სოფიას შორის სარკინიგზო მიმოსვლა დაიწყო

როგორც თურქული მედია წერს, თურქეთის სახელმწიფო რკინიგზასა და ბულგარეთის რკინიგზის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პირველი მატარებლის რეისი სტამბოლიდან სოფიის მიმართულებით გუშინ, თურქეთის დროით 22:40 საათზე გავიდა. სტამბოლ-სოფიას შორის მატარებელი ყოველდღიურად იმოგზაურებს და იგი 9:30 საათს გაგრძელდება.

მთიან ყარაბაღში საკონსტიტუციო ცვლილებებზე რეფერენდუმი ჩატარდა

მთიანი ყარაბაღის არაღიარებულ რესპუბლიკაში რეფერენდუმი ჩატარდა. დე ფაქტო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი ამომრჩეველთა 87,6-მა პროცენტმა დაუჭირა. საკონსტიტუციო ცვლილებით, მთიან ყარაბაღში საპრეზიდენტო მმართველობა უნდა დამყარდეს. 2006 წლის კონსტიტუციით, დეფაქტო რესპუბლიკაში ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა იყო გამოცხადებული.

არაბეთის გაერთიანებული საემიროები მარსზე ქალაქის აშენებას გეგმავს

უკვე გაცხადებული გეგმის მიხედვით ეს 100 წლის შემდეგ, ანუ 2117 წლისთვის მოხდება.

ამ დროისათვის კოსმოსური სააგენტო და მეცნიერები მსჯელობენ, როგორ გადაიყვანონ ადამიანები მარსზე და შეძლებენ თუ არა ცოცხალი ორგანიზმები ამ დატვირთვას გაუძლონ. არაბეთის გაერთიანებული საემიროების არქიტექტორებმა და ინჟინრებმა უკვე შეიმუშავეს არტ-კონცეფცია, თუ როგორი იქნება ქალაქი მარსზე. პროექტის სახელწოდებაა „სიბრძნის ქალაქი" და ის დუბაის მთავრობას უკვე წარუდგინეს კიდეც.

როგორც არაბეთის გაერთიანებული საემიროების ვიცე-პრეზიდენტმა, შეიხმა მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაკტუმმა განაცხადა, ადამიანის ამბიციებს საზღვარი არ გააჩნია და ვინც საუკუნის დასაწყისში უკვე ხედავს მეცნიერულ გარღვევებს, მას ადამიანური ოცნებების ასრულება აუცილებლად შეეძლება.

თუ კონკრეტულად მარსზე სად ან როგორ აიგება ქალაქი, უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ ქალაქს 600 000 ადამიანის დატევა შეეძლება.



უვიზო მიმოსვლა ავიაბილეთებს და ტურისტულ პაკეტებს გააძვირებს

საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო და მალე ევროპაში უვიზო მიმოსვლა პრაქტიკულადაც შესაძლებელი იქნება. ტურისტული კომპანიები და ავიაბილეთების რეალიზაციით დაკავებული ორგანიზაციები განსაკუთრებულად ელოდებიან მის ამოქმედებას. უკვე გაჩნდა მოსაზრება, რომ გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად, ავიაბილეთების ფასი მოიმატებს.

საქართველოდან უცხოეთში გამგზავრების მსურველთა რაოდენობა ისედაც მზარდია და უვიზო მიმოსვლის პირობებში კიდევ უფრო მოიმატებს. მოთხოვნის ზრდა კი ყოველთვის განაპირობების მომსახურების გაძვირებას. შესაბამისად, ავიაბილეთებზე ფასის მატება საკმაოდ რეალურია. ამ მოსაზრებას ტურისტული კომპანიებიც ადასტურებენ.

„რეისი, რაც უფრო დატვირთულია, მეტად იზრდება ბილეთის ფასიც. ამიტომ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ, თუკი მოთხოვნამ მოიმატა, ვვარაუდობთ, რომ შეიძლება ბილეთებიც გაძვირდეს. ჩვენ ველოდებით მოთხოვნის ზრდას, რადგან გვქონია ბევრი შემთხვევა, როცა მოქალაქეებს ევროპაში მოგზაურობა უნდოდათ და ვიზის პრობლემის გამო ამას ვერ ახერხებდნენ. აქ მეორე მხარეც არის გასათვალისწინებელი. თუ მოთხოვნა იქნება, რეისები დაემატება და ამან შეიძლება ავიაბილეთების ფასი დააბალანსოს“, — აცხადებს „გუდ თრეველის“ მენეჯერი მარიამ დანელია.

„ვიზალიბერალიზაციის შემდეგ საინფორმაციო ზარებმა იმატა. რეალურად ევროპის მიმართულებით ბილეთებზე მოთხოვნა თუ მნიშვნელოვნად გაიზრდება, დასაშვებია, რომ ბილეთების ფასმაც მოიმატოს. აქ გასათვალიწინებელია, რომ ბილეთების გაყიდვის მატება მხოლოდ ტურისტულ სეზონზე ფიქსირდება ხოლმე. ვიზალიბერალიზაცია წინგადადგმული დიდი ნაბიჯია, მაგრამ მხოლოდ ამას მოთხოვნის მკვეთრად ზრდა არ შეუძლია, რადგან ბევრი რამ მოქალაქეების ფინანსურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული“, — ამბობს „ფლაი.გე“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინგა კურცხალია „ოლნიუსთან“ საუბრისას.

ტურისტულ კომპანია „აი ემ ჯორჯიაში“ ადასტურებენ, რომ უკვე დატვირთულ რეჟიმში მუშაობენ. ამაზე გავლენას, სხვა პირობებთან ერთად, ევროპის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის დაწესებაც ახდენს. ბილეთის ღირებულებისა და ტურისტების ნაკადის ზრდას „აი ემ ჯორჯიაშიც“ ელოდებიან.

„ფასის კლებას არ ველოდებით, თუმცა შემდეგ ეტაპზე ავიაკომპანიების მხრიდან, შესაძლოა, დარეგულირდეს, რაც ღირებულებაზეც აისახება.

ყველაზე მთავარია, სიტუაცია არ იყოს ისეთი, როგორიც არის ისრაელის შემთხვევაში. საქართველოს მოქალაქეებს უჭირთ შესვლა და აეროპორტიდან ხშირად უკან აბრუნებენ. პროცედურას ველოდებით. დეტალური ინფორმაციისთვის აუცილებელია ვიცნობდეთ სტრუქტურას, როგორი მდგომარეობა იქნება საზღვარზე. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ფასიც და მსურველთა ნაკადიც აუცილებლად მოიმატებს“, — აცხადებენ „აი ემ ჯორჯიაში“.

ბექა დანელია

კონტრაბანდული ხიზილალა რუსეთიდან

საქართველოს სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე აღკვეთილი იქნა დიდი ოდენობით კონტრაბანდული ხიზილალის შემოტანის ფაქტი.

გამოძიებით დადგენილია, საქართველოს მოქალაქემ მისი მართვის ქვეშ მყოფი „MITSUBISHI PAJERO“-ს მარკის ავტომანქანით, რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ გავლით საბაჟო კონტროლისაგან მალულად, ავტომანქანაში არსებული სამალავებით შემოიტანა დიდი ოდენობით ხიზილალა.

ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვის ფაქტზე ყაზახეთის მოქალაქე დააკავეს

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1972 წელს დაბადებული ბ.ა. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 180 აბი ნარკოტიკული საშუალება „მდმა“ ამოიღეს.

ქალი ჩემოდნით გადაჰყავდა!

თურქეთის პოლიციამ საზღვარზე, ხოფაში, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა. მამაკაცს 28 წლის ქალბატონი საზღვარზე ჩემოდნით გადაჰყავდა. მესაზღვრეებმა ბარგი საეჭვოდ მიიჩნიეს და მფლობელს მისი გახსნა მოსთხოვეს. გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მასში ქალბატონი იჯდა.

თურქეთის საზღვარზე მსგავსი შემთხვევა რამდენიმე ხნის წინაც იყო, თუმცა დაკავებულების ვინაობა და წარმომავლობა ცნობილი არ გამხდარა.

საქმე №1/11-2017

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 15 თებერვალი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **მამუკა ნებიერიძე, ალექსანდრე ქაცანაშვილი**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 20 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე მამუკა ნებიერიძისა და ალექსანდრე ქაცანაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 28 აპრილს შპს „ნოვა კრედიტსა” და მამუკა ნებიერიძეს შორის დაიდო №041592908 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 700 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 66 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

2015 წლის 28 აპრილს შპს „ნოვა კრედიტსა” და ალექსანდრე ქაცანაშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მამუკა ნებიერიძეს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ალექსანდრე ქაცანაშვილს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მამუკა ნებიერიძესა და ალექსანდრე ქაცანაშვილს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მამუკა ნებიერიძე რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

დადგენილია, რომ მოპასუხე ალექსანდრე ქაცანაშვილი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მამუკა ნებიერიძეს (პირადი №01019064361) და ალექსანდრე ქაცანაშვილს (პირადი №01019008687) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. მამუკა ნებიერიძესა და ალექსანდრე ქაცანაშვილს განემარტოთ, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე მამუკა ნებიერიძესა და ალექსანდრე ქაცანაშვილს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე მამუკა ნებიერიძესა და ალექსანდრე ქაცანაშვილს ეცნობოთ, რომ 2017 წლის 15 მარტს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით მამუკა ნებიერიძისა და ალექსანდრე ქაცანაშვილის მიმართ.

5. მამუკა ნებიერიძესა და ალექსანდრე ქაცანაშვილს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოთ მოპასუხე მხარეებს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

ჭიდაობა

ერთ „ოქროს“ დასჯერდნენ



სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრ მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ბელარუსის დედაქალაქმა მინსკმა უმასპინძლა, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებმა იასპარეზეს. საპრიზო ადგილებისთვის მასპინძლებთან ერთად საქართველოს, გერმანიის, რუსეთის, უკრაინის, მოლდოვის, ლატვიის, ლიტვის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ. ახალი მთავარი მწვრთნელის – გია კვინიკაძის ხელმძღვანელობით მინსკში ჩვენგან 10-მა სპორტსმენმა მოსინჯა ძალები და ისინი ერთ „ოქროს“ დასჯერდნენ: 58 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამბროლაურელმა გიორგი ელბაქიძემ გაიმარჯვა. ზედიზედ ოთხი მეტოქის ძლევის შემდეგ ფინალში მან ყაზახი ნიკიტა საფრონოვი 8:2 დაამარცხა. ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავეს, ასევე, ამბროლაურელმა ვლადიმერ გამყრელიძემ (54) და სამტრედიელმა ელგუჯა ბალანჩივაძემ (100), მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს და მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

გივი გაგუა

ჩოგბურთი

ნიკა ბასილაშვილმა თამასა ასწია

თბილისელმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ბოლო ორი კვირის განმავლობაში წარმატებით იასპარეზა ATP-ის ორ ტურნირში. ორიოდე დღის წინათ მემფისის ღია პირველობაზე მან მეორე ადგილი დაიკავა, სარეიტინგო 150 ქულა დაიმსახურა და მსოფლიოს კლასიფიკაციაში 858 ქულით 53-ე ადგილზე აღზევდა, რაც მისთვის სარეკორდო სიმაღლეა. წინა კვირის რეიტინგთან შედარებით ნიკამ 14 ადგილით წინ წაიწია. ბასილაშვილი ახლა დელრეი ბიჩის (აშშ) ტურნირში ჩაებმება და პირველ ორმოცდაათეულში შესასვლელად იბრძოლებს.

ლაშა დიდია

კარატე

ანრის ევროპული ჯილდო

50 ქვეყნის 1200 კადეტი და ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ კარატისტთა ევროპის ჩემპიონატში. ქართველთაგან თავი გამოიჩინა ანრი ბიწკინაშვილმა (76 კგ), რომელმაც 17 წლამდელებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პირველ წრეში მან პოლონელ მაჩეია სკროუბას მოუგო – 2:0, მერე ჯერონიმ ეტემი (გერმანია) ჩამოიშორა გზიდან – 4:0, მეოთხედფინალში სლოვაკ ადი გიურიკს აჯობა 1:0, მაგრამ რუსმა მსაჯმა ჩვენებურს კონტაქტისთვის გაფრთხილება მისცა და წაგება ჩაეთვალა. გიურიკმა ფინალში რუსი პაველ დროზდი დაჯაბნა და ოქროს მედალი მოიპოვა. ბიწკინაშვილმა დამამშვიდებელში სამ მეტოქეს სძლია – ელრაზეკ მოუსას (ისრაელი, 0:0-ზე არბიტრების გადაწყვეტილებით), მიჩელ ტორპის (ინგლისი, 2:2), პოლ კაბაშის (შვეიცარია, 3:2) და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

თამაზ პატარიძე

ფეხბურთი

„ჩელსი“ ანტონიო კონტეს კონტრაქტს გაუხანგრძლივებს

ლონდონის „ჩელსის“ ხელმძღვანელობა ანტონიო კონტეს მიერ გაწვრთნილი გუნდის პროგრესით კმაყოფილია და TMW-ს ცნობით, მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწია.

უახლოეს პერიოდში იტალიელი სპეციალისტი ახალ კონტრაქტზე ხელმოწერას დასვამს. ძველი კონტრაქტის თანახმად, კონტეს „ჩელსიში“ 2019 წლამდე უნდა ემუშავა და ახლა ეს პერიოდი ერთი წლით გადაიწევს. ვარაუდობენ, რომ ახალი შეთანხმების თანახმად იტალიელის ანაზღაურებაც გაიზრდება.

ანტონიოს ხელმძღვანელობით „არისტოკრატებმა“ ინგლისის პრემიერლიგაში ჩატარებულ 25 მატჩში 60 ქულა აიღეს და სატურნირო ცხრილს დამაჯერებლად ლიდერობენ.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

ინსინიეს ათლეტი ცოლის ამბავი

როდესაც ადამიანს სახელად ჯენოვეფა დარონე ჰქვია, მისით წესით ნაკლები ადამიანი უნდა ინტერესდებოდეს, მაგრამ როდესაც ამ სახელისა და გვარის მქონე ქალი იტალიის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელის ლორენცო ინსინიეს ცოლია, ეს უკვე სრულიად სხვა ამბავია.

ჯენოვეფა და ლორენცო უკვე 4 წელია, რაც ცოლ-ქმარი არიან და მიუხედავად იმისა, რომ დარონეს ქალი მრავალი ფეხბურთელის შხვართთა შორის უშხვართესი ცოლისგან განსხვავებით, დიდი ვერაფერი შვილი ეპატაჟურობით გამოირჩევა, მის შესახებ აპენინების ბულვარული მედია მაინც წერს.

როგორც ირკვევა, ლორენცო ინსინიეს მეორე ნახევარს ნამეტნავად ჰყვარებია სპორტი და სპორტული ცხოვრება და დღე ისე არ გავა, რომ ამ ქალმა სავარჯიშო დარბაზში გვარიანი ოფლი არ ღვაროს. იტალიაში ყიამყრალი ხალხი იმასაც კი ამბობს – ლორენცოს ცოლივით რომ უყვარდეს ვარჯიში – აქამდე ძალიან ბევრს მიაღწევდაო.

როსტომ რაჭველიშვილი

ტყვიის სროლა

გერმანიაში ემზადებიან

6-12 მარტს პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის დასკვნითი შეკრების გასავლელად საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრების წევრები: **უფროსებში** – ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე და ლევან ქადაგიძე, **ახალგაზრდებში** – ევროპის ვიცე-ჩემპიონი ნინო ხუციბერიძე, ასევე, ახალგაზრდებში ევროპის გუნდური პირველობის მესამე პრიზიორები – აკაკი მოსულიშვილი და რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის მონაწილე ცოტნე მაჭავარიანი, ლიზი კილაძე და გუნდის დებიუტანტი ივა ჭანკოტაძე გუნდის მწვრთნელ ვახტანგ სალუქვაძესთან ერთად გერმანიაში იმყოფებიან. 5 მარტამდე ისინი იქ ივარჯიშებენ, 6-ში კი სლოვენიას მიაშურებენ, რომელიც ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.

ლია მესხიძე

◎ ფსიქოლოგიური აიკიდო

წინააღმდეგობის შესასუსტებლად – დათმე

იძ, სადაც ორი კაცია, მუდამ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ამიტომაცაა, რომ თითოეულ ჩვენგანს ყოველდღიურად დიდი თუ მცირე კონფლიქტის გადაჭრა გვიწევს სხვადასხვა ადამიანთან, თანაც რაც უფრო მეტი სოციალური ფუნქცია აკისრია ამა თუ იმ პირს, მით უფრო მეტი განსხვავებული მოსაზრების გათვალისწინება უწევს. სხვადასხვა აზრთა ჭიდილში კი ხშირად ნამდვილ „ფსიქოლოგიურ ბრძოლაში“ გვიწევს ჩართვა, რასაც ზოგჯერ სერიოზული სულიერი ტრავმები მოყვება ხოლმე.

ასეთი მძიმე შედეგის მიღება კი, ცხადია, არავის არ სურს, ამიტომაც ერთგვარი „ფსიქოლოგიური აიკიდოს“ რამდენიმე „ფანდს“ შემოგთავაზებთ, რომელთა გამოყენება პრობლემის ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე გადაწყვეტის შესაძლებლობას მოგცემთ.

• ფსიქოლოგიური აიკიდო ბოროტი აგრესიის, ერთგვარად სფეროზე შემდგარი კაცის წონასწორობის შენარჩუნების ცდას ჰგავს. ამის თაობაზე აღმოსავლეთში ამბობენ: „როცა თმობ, შენ გამოცდას აბარებ“. ბუდისტები კი გვასწავლიან: წინააღმდეგობის შესასუსტებლად – დათმე“.

• მოწინააღმდეგეს ნუ ეჭიდები, რადგან ამ დროს შენ იგივე ხდები, რასაც ებრძვი. ზედმეტ ძალისხმევას საპირისპირო შედეგი მოყვება.

• ისწავლე სხვისი წაყოლა, რათა შემდეგ სხვები წამოგყვნენ.

• ის, ვინც გიყვირის, აფექტის მდგომარეობაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გონება გათიშულია. ასეთ კაცთან ყველანაირი ლაპარაკი, უბრალოდ, სასაცილოა – ეს იგივეა, რაც მძინარე კაცს ესაუბრო. სადმე თუ გინახავს, რომ ვინმეს, კარგ გუნებაზე მყოფს, სხვისთვის ეყვიროს?

• პასუხად ყვირილი იგივეა, რაც ცურვის არმცოდნე წყალში ჩავარდნილი კაცისთვის თავში ნიჩბის ჩარტყმა. არაა საჭირო დახრჩობაში მისი წახმარება.

• რას ვაკეთებთ, როცა ცუდად ვართ? ბრალდებებს ვაყენებთ, ვჩხუბობთ, ვილანძღებით, ვტირით, ტონს ვუწევთ. თუკი ადამიანი ყვირის, მაშასადამე, იგი იმწუთს თავს ცუდად გრძნობს.

• იცით, როგორ უნდა შეაჩეროთ მოწინააღმდეგის ლანძღვა და ყვირილი? გაჩერდით და „ორთქლის გამოშვების“ საშუალება მიეცით. ყურს ნუ დაუგდებთ: ეს მისი ტკივილი ყვირის. მაგრამ თავი როგორ უნდა შეიკავოთ? გუნებაში თავი შეიქეთ: „ძალიან მაგარი ვარ! ასეთ კაცთანაც კი შემიძლია მშვიდად ვიყო და წონასწორობა არ დავკარგო!“ ცივი შხაპის როლს გაჩუმებაც ასრულებს. ვიდრე თქვენი მოქიშპე ხმაურობს, ყურადღებით უცქირეთ და მხოლოდ უსმინეთ.

P.S. ყოველივე ამის შესრულება ბევრს შესაძლოა, ძალიან რთულ ამოცანად მოეჩვენოს: დათმობა, გაჩუმება მაშინ, როცა საკუთარი სიმართლის დამტკიცება გინდათ, ადვილი ნამდვილად არ არის. მაგრამ, ამის გაკეთება ჭეშმარიტად ღირს. საქმე ისაა, რომ თუკი კონფლიქტის დროს ერთ-ერთი მხარე გონივრულად იქცევა, ამით ყველა მშვიდდება. ამიტომაცაა, რომ ფსიქოლოგიური აიკიდოს სიბრძნის დაუფლება თუნდაც საკუთარი ახლობლების ჯანმრთელობისა და სულიერი სიმშვიდისთვის ღირს.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

სანთელი

ლილი, ზაურ თელიები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ სიმონის ძე გაბელაია

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს რაფაელ გულუევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რაფაელ გულუევი (პ/ნ 28001093623), მარნეული, სოფელი თაზაქენდი.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, სოფელი თაზაქენდი (საკადასტრო კოდი: 83.03.22.098).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17288.63 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 22 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 9 მარტი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:**
განაცხადის №71271HZP40926517;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 409265

6. **მოვალე:** რაფაელ გულუევი (პ/ნ 28001093623), მარნეული, სოფელი თაზაქენდი;
გახრამან გიულიევი (პ/ნ 28001011710), მარნეული, სოფელი თაზაქენდი;
ელჩინ ჰუსეინგულიევი (პ/ნ 28001103620), მარნეული, სოფელი თაზაქენდი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შემენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP40926517; ლოტის ნომერი: 409265).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 7 მარტის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2016 წლის ფინანსური ანგარიში

„კავშირის“ შემოსავალმა 2016 წელს შეადგინა 60900 ლარი. მ/წელს გაწეულია 58952 ლარის ხარჯი. მათ შორის: ჩატარდა 56 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა - საჩუქრებით, მაისის თვეში ომის 7 მონაწილესთან აგრეთვე მოეწყო საზეიმო შეხვედრა, 71 ვეტერან-ქალბატონთან 3 და 8 მარტის აღნიშვნა და დეკემბრის თვეში 85 წლის და ზევით 24 ვეტერან-ენერგეტიკოსთან შეხვედრა. ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე დაიხარჯა 6590 ლარი.

ვეტერანებზე დახმარება გაიცა 7812 ლარი, საკანცელარიო ხარჯი 700 ლარი, ადმინისტრაციაზე, კომუნალურ მომსაურეობაზე და კომპიუტერზე 41319 ლარი, გაზეთში განცხადებების განთავსებაზე 592 ლარი, ბანკის მომსახურეობაზე 167 ლარი, ამორტიზაცია 92 ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე 192 ლარი, ქონების გადასახადი 4 ლარი, აუდიტის მომსახურებაზე 300 ლარი, არასაოპერაციო ხარჯი 56 ლარი (მიმდინარე აქტივების და ძირ. საშუალების ჩამოწერა), ვეტერანების სურათების დამზადებაზე 104 ლარი, იუბილარი ვეტერანების ფურშეტზე 150 ლარი, ვეტერანების ექსკურსიაზე 150 ლარი, წესდების შეცვლისა და ნოტარიუსის ხარჯი 124 ლარი ოფისის იჯარაზე გადახდილია 600 ლარი.

ბალანსი 1/I-2017 წლისათვის

აქტივი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს	პასივი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები (1110, 1210)	1520	4305	მიმდინარე ვალდებულებები	0	0
მოკლევადიანი მოთხოვნა	1200		სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება (5490)		
სხვა მიმდინარე აქტივები (1700, 1900)	59	477		3293	5148
გრძელვადიანი აქტივი (2160)	514	366			
სულ აქტივები	3293	5148	სულ პასივები	3293	5148

თავმჯდომარე იაშა ბოლქვაძე
ბუღალტერი ციცინო ბენაშვილი

ტურისტები ბაკურიანს უწყლოობის გამო ტოვებენ!

ზამთრის ტურისტული სეზონის პიკზე კურორტი ბაკურიანი უწყლოდ დარჩა. როგორც სოციალურ ქსელში დამსვენებლები წერენ, ბოლო რამდენიმე დღეა, ბაკურიანს წყალი გრაფიკით მიეწოდება, რის გამოც დამსვენებლების ნაწილმა, მათ შორის უცხოელებმა კურორტი უკვე დატოვეს.

დამსვენებლების განცხადებით „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ მიზეზად რთულ კლიმატურ პირობებს და სათავე ნაგებობის გაყინვას ასახელებს, რაც მათივე თქმით, არადამეჯერებელი არგუმენტია, რადგან ბაკურიანისთვის -25-30 გრადუსი ჩვეული მოვლენაა და კომპანია ამისთვის მზად უნდა ყოფილიყო.

ბაკურიანის გამგებელი გოჩა გობრონიძე რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ 4 დღის წინათ ძლიერი ყინვების გამო წყლის სათავე ნაგებობა ნაწილობრივ გაიყინა, რის გამოც გარკვეული შეფერხებები იყო. ამასთან, გოჩა გობრონიძის თქმით, შეზღუდვა დღეში მხოლოდ ორი საათია . გობრონიძე აცხადებს, რომ ის მუდმივ კომუნიკაციაშია „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“.

„სამეფო“ თელავში სასტუმროს აშენებს

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტს კიდევ ერთი ბენეფიციარი შეემატა და ახალი პროგრამის ამოქმედებიდან სულ მცირე დროში, პროგრამის ბენეფიციარების რიცხვი საგრძნობლად მატულობს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მორიგი ბენეფიციარი შპს „სამეფო“ სასტუმროს მშენებლობას შეძლებს.

შპს „სამეფო“, პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში, ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში კომპანიის საპროცენტო განაკვეთის უმეტეს ნაწილს, მეწარმეობის განვითარების სააგენტო თანადაფინანსების სახით დაფარავს.

სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ჯამური ინვესტიცია 1 278 020 ლარს შეადგენს. სასტუმროში კი, რომელიც 2017 წლის ივნისის თვეში გაიხსნება, დასაქმდება 39 ადამიანი.

ახალი სასტუმრო თელავში (კავკასიონის №33) გაიხსნება და სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ მომხმარებელს მაღალი ხარისხის მომსახურებასთან ერთად კეთილმოწყობილ გარემოს შესთავაზებს.

„ათეშგას“ ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის კატეგორია განესაზღვრა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლ „ათეშგას“ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „ათეშგა“ თბილისის ერთ-ერთი უძველესი საკულტო ნაგებობაა. იგი კალას უბნის ზედა ნაწილში, ნარიყალას ციხის ქვეშ, გომის №3-ში მდებარეობს. „ათეშგა“ საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემელთა (ათეშ – სპარსულად ცეცხლი, გაჰ – ადგილი, იგივე „ცეცხლის საგზებელი“) ერთადერთი შემორჩენილი ჩარდახიტაძარია; ნაგებობა, ზოროასტრული ცეცხლის ტაძრებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული გეგმარებითა და სტრუქტურით არის ნაშენები, რომელსაც ძველქართულად არტოშანს უწოდებდნენ. ათეშგას კოშკურა ნახევარსფერული გუმბათით თბილისის თითქმის ყველა საარქივო გრაფიკულ გამოსახულებაზეა. სხვადასხვა ისტორიული ცნობისა და მკვლევართა მოსაზრებების მიხედვით, ნაგებობა V-VII საუკუნეებით თარიღდება. „ათეშგამ“ საუკუნეთა განმავლობაში იცვალა სახე. არსებული მოსაზრების თანახმად, ნაგებობა 1724 წლიდან თბილისში გაბატონებული თურქების მიერ მეჩეთად გადაკეთდა, 1735 წელს, თურქების თბილისიდან განდევნისას ნადირშაჰის მიერ დანგრეული ორი მეჩეთიდან ერთ-ერთად, სწორედ აღნიშნული ნაგებობა მოიაზრება. 1986 წლის 14 ნოემბერს, სსსრ მინისტრთა საბჭოს №706 დადგენილებით, „ათეშგას“ ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი განესაზღვრა. 2007 წლის 1 ოქტომბერს, თბილისში მდებარე ძეგლებისთვის, საბჭოთა პერიოდში მინიჭებული სტატუსები გადამტკიცდა, რის შედეგადაც „ათეშგას“ მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი შეუნარჩუნდა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციტივითა და მთავრობის გადაწყვეტილებით, 2017 წლის 21 თებერვალს „ათეშგას“ ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი ხელახლა განესაზღვრა.

◎ ვერნისაჟი

პიკასო, გაბაშვილი, კანდინსკი და სხვანი

უპრეცედენტო გამოფენა გაიხსნა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში.

დედაქალაქის მუზეუმებს შორის ამ შედარებით ახალი „მუზების სასახლის“ ჯორჯ ბალანჩინის სახელობის საგამოფენო დარბაზში, ხელოვნების ამ ტაძრის მესვეურებმა მნახველებს პაბლო პიკასოს, ვასილ კანტინსკის, ფრანც რუბოს, გიგო გაბაშვილისა და მაქსიმილიან ლუსის გამორჩეული მხატვრული ტილოების დათვალიერება შესთავაზეს.

საგულისხმოა, რომ მსოფლიო სახვითი ხელოვნების სახელოვან წარმომადგენელთა შედევრები კოლექციონერის, სახვითი ხელოვნების დიდი ტრფიალის **დავით კობახიძის** კერძო კოლექციის ნაწილია.

ამ მართლაც უაღრესად საინტერესო გამოფენის მნახველთა ყურადღებას უდავოდ მიიპყრობს მუყაოზე აკვარელით შესრულებული პაბლო პიკასოს „პორტრეტი“, გიგო გაბაშვილის „ხორცის გამყიდველები“, „შუა აზია, ცხენოსნები“, სხვა ნამუშევრები, რომელთაგან თითოეული საქვეყნოდ ცნობილი „სოტბის“, „ქრისტის“ და მსოფლიოს სხვა სახელგანთქმულ აუქციონებზეა შეძენილი.

ექსპოზიცია ერთ თვეს, 18 მარტამდე გასტანს.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

სითბური შეტევა

მოცემული გეოგრაფიული განედისთვის უჩვეულოდ ხანგრძლივი სიცხეები ზემოქმედების სიძლიერით ქარიშხალს შეიძლება გავუტოლოთ.

ევროპას ყველაზე ძლიერი სითბური ქარიშხალი 2003 წლის ზაფხულში დაატყდა თავს. 20 ათასი კაცის სიკვდილი ბევრ ქვეყანაში, პირდაპირ თუ ირიბად, რეკორდულად მაღალ ტემპერატურას უკავშირდება. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში ზაფხულის თვეებში სიცხე ცელსიუსის შკალის 38,1 გრადუსს აღწევდა, გერმანიაში – 39,2 გრადუსს, იტალიაში – 40,3 გრადუსს, საფრანგეთში – 44 გრადუსს.

ხანგრძლივ სიცხეს დედოფალ მარია-ანტუანეტას მიერ 1681 წელს ვერსალის პარკში დარგულმა ისტორიულმა მუხამაც კი ვერ გაუძლო, თუმცა მას ყოველდღე რწყავდნენ.

საკვებიდან მიღებული კალციუმის სიკეთე



დანამატების **სახით კალციუმის მიღება არტერიებში ბალთების წარმოშობის საფრთხეს ზრდის, დიეტა კი, რომელიც კალციუმით მდიდარი სურსათის მოხმარებას ითვალისწინებს, პირიქით, გულ-სისხლძარღვთა სისტემას იცავს. ეს დასკვნა ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერებმა გამოიტანეს, რომლებიც კვლევის დროს 2700 კაცს აკვირდებოდნენ.**

აღმოჩნდა, რომ ზრდასრულ ამერიკელთა 43 პროცენტი კალციუმის დანამატიან საკვებს მოიხმარს და ბევრნი ამას ექიმის დანიშნულების გარეშე აკეთებენ. ბევრს სწამს, რომ ეს ოსტეოპოროზის წარმოშობის ალბათობას შეამცირებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მომხმარებლებში კორონალურ არტერიებში ბალთების წარმოშობის ალბათობა 22 პროცენტით გაიზარდა. მათ კი, ვინც უბრალოდ კალციუმით მდიდარ საკვებს მოიხმარდა, გულის დაავადებათა რისკის მატება არ დაუდგინდა.

ამასთან დაკავშირებით მკვლევარები აზრს გამოთქვამენ, რომ საკვების დანამატებიდან კალციუმს უფრო სხვანაირად იყენებს ადამიანი, ვიდრე უშუალოდ საჭმლიდან შეთვისებულს.

ძილის „ფოკუსები“

ადამიანები **იმავე გუნებაზე ილვიძებენ, როგორითაც იძინებენ.**

თავის ტვინის გამოკვლევისას ჩინელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ღამის ძილი მასში მოგონებებს ამაგრებს. ეს განსაკუთრებით უარყოფით ინფორმაციას ეხება, რომელიც ძილის დროს გრძელვადიან მეხსიერებაში გადადის. ამიტომაცაა, რომ ცუდი გუნებიდან თავის დაღწევას დიდი ხნის მანძილზე ვერ ვახერხებთ ხოლმე.

მზრუნველობის „საფასური“

სხვებზე **ზრუნვა ხანდაზმულ ადამიანთა სიცოცხლეს ახანგრძლივებს – ასეთია გერმანელ, შვეიცარიელ და ავსტრალიელ მეცნიერთა კვლევის დასკვნა, რომლებმაც 1990-დან 2009 წლამდე პერიოდში 70-103 წლის ასაკის 500 კაცის გამოკითხვის შედეგები გააანალიზეს.**

აღმოჩნდა, რომ თუკი უფროსი თაობის ადამიანები დროდადრო შვილიშვილებს უვლიან, ანდა, უბრალოდ, თავიანთ შვილებს ეხმარებიან, ხოლო თუკი უშვილონი არიან და ახლობლებს მორალურ მხარდაჭერას უწევენ, მათი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა რამდენიმე წლით იზრდება.

მკვლევარებმა იმ ხანდაზმულ პირთა მონაცემები შეისწავლეს, ვინც დროდადრო, თავისი სიამოვნებისთვის და ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, შვილიშვილებს უვლიან. აღმოჩნდა, რომ პირველი გამოკითხვის ჩატარებიდან ათი წლის შემდეგ ამ პირთაგან ნახევარი ჯერაც ცოცხალი იყო, თუმცა კი საკონტროლო ჯგუფის წევრთა ნახევარი პირველივე ხუთ წელიწადში გარდაიცვალა.

მათ შორის, ვისაც საკუთარი შვილები არ ჰყავდა, მაგრამ მორალურად მხარში ედგა თავის ახლობლებსა და ნაცნობებს, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იმათისაზე 3 წლით მეტი იყო, ვინც არავისზე არ ზრუნავდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6386; ევრო - 2.8017;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2872;
100 რუბლი - 4.5439; თურქული ლირა - 0.7254;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4771;
1000 სომხური დრამი - 5.4225.

ამინდი 22 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -5, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე -11, დღე +9
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0, დღე +16
მთიანი რაიონები - ღამე -5, დღე +14
თბილისი: ღამე 0, დღე +13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge